# ცისკარი.

**1870**

## მაისი

წელიწადი მეთოთხმეტე.

---

წოდება თხზულებათა:


I. სამცხე—საათაბაგო. (მოგზაურობითგან) ი. კე-რესელიძისა.

II. გულის-პასუხი (ლექსი) ი. ქარუხა-შვილისა.

III. ბეატრიჩე ჩენჩი (მოთხრობა.) გ. ასათიანისა

IV. სხუა რიგი სიყუარული (კომედია.) ი. ბარათა-შვილისა.

V. ტფილისის ანბავები.


---


ტფილისს.

მარტიროზიანის ტიპოგრაფიაში.



თბილისი

3 Ს193ᲒᲝ

## ცნობა

### სამცხე—საათაბაგოზედ.

47

არის მესხეთში კიდევ მონასტერი ზარზმისა. ეს ეკკლესია არ ჩამოუვა თავისის მშჳენიერის შენობით საფარის მონასტერსა. ამ მონასტერს მარჯვნივ მხარეზედ ჩამოუდის მდინარე ქობლიანი, რომელშიაც ბევრი გველაქნურია. გუმბათი ამ მონასტრისა ისევე ისე მრთელია, მხოლოდ ზემოდან, გარედგან რომ შეხედავთ, დაქცეულა ალაგ-ალაგს, სამხრეთის მხრივ ჭქონია ადრე სამრეკლო, თუმცა ახლა დანგრეული არის, ამ სამრეკლოს ერთს ქჳაზედ სწერია:

,,წმინდა ეკკლესია ესე აღშენებული არს, ბრძანებითა ღჳთისათა, პანსაპი ხარჩამისაგან. სახელსა ზედა მახარობელის იოანესი... ღმერთო მ.უტევე, შეცოდებანი თჳსნი არხიეპისკოპოზს ხარჩამეს...“

ჩრდილოეთის მხრივ არის კიდევ ერთი ეკკლესია, რომლის კარების ორსავე მხარეს აწერია:

,,მე იოანემან, ბრძანებითა ღჳთისათა დ დედისა მი-

სისათა, აღვაშენე წმინდა ეკკლესია ესე, აღრევისა დროს საქართჳ̃ლოში სცელლერუსისაგან.... დავით კუროპა-ლატი, ღმერთო განამლიერე იგი,—იმავე ჟამს მისცა შემწეობა წმინდათა იმპერატორთა... ბრძანებითა მისი-სათა, ყველანი გაველით ლაშქრად, ჩჳ̃ნ დავამარცხეთ სცელერა.“

კარგათ ვერ გავარჩიე წელიწადი და როგორც გამო-ვიკვლიე ბროსეს ნაწერებითგან შევიტყე, რომ **976** წე-ლსა, თეოფანე იმპერატრიცამ როდესაც მისცა შემწე-ობა დავით კურატ პალატს, გაუგზავნა ამან თორმეტი ათასი ქართველის ჯარი, რომელსაცა ჰყვა თან მხედა-რთ-მთავრად თონიკე,—ეს ის თონიკე ყოფილა, რო-მელიცა ბოლოს ბერად შემდგარა ათონის მთაზედ, ქა-რთჳ̃ლის ათანასესაგან აშენებულს მონასტერში.

სცელერუსი დაამარცხეს, ყოველივე ქონება წაართვეს და ამ წართმეულის ქონებითგან, გააკეთეს ქართჳ̃ლე-ბმა წმინდა მთაზედ ჩინებული ივერიის ეკკლესია, რო-მელიცა დღესაცა არის.

საქართჳ̃ლოს ისტორიაში ესეცა შესანიშნავი სხჳ̃ა-თა შორის, შემთხვევა არის, ვიზანტიელების მატიანე-შიაც არის მოხსენებული ესა, და ცხოვრების აღწერაცა წმინდა ექვთიმესი რომელმაცა სთარგმნა ქართულს ენა-ზედ დაბადება. ამ ზარზმის ეკკლესიის გაკეთება არის მეთერთმეტეს საუკუნეში.

როდესაც შეველ ამ ეკკლესიის გალავანში, თან შე-მამყვნენ ექჳ̃სნი, თუ შჳდნი, ქართჳ̃ლ-თათრება, ერთმა

იმათგანმან გაალო ეკკლესია, რომელშიაც რა შევიდა, დაუწყო აქა-იქ წმენდა,—ზოგნი ერთნი თათრები, რომელნიცა გარეთ იდგნენ, აქა იქ ქუჩასა ჰკრეფდნენ და ალაგებდნენ ეზოსა, როგორც შევნიშნე დიდის მოწიწებით ეპყრობიან ამ ეკკლესიას და ერთმა მოხუცებულმა ქართუჱლ-თათარმა მითხრა: ყოველთჳს შევდივართ და ვლოცულობთ არა თუ მარტო ჩუჱნ, ჩუჱნი სახლობაცაო, მაგრამ რა არის, ჰსთხოვო ფაშას, მოლლა დაგვიყენოს ამ საყდარშიო, მე ნაღვლიანი ღიმილი მამივიდა და თავი მოვარიდე.

---

მინამ დავსწერდეთ რასმეს კიდევ შესანიშნავს მონასტრებზედ, მესხეთში, ანუ საათაბაგოში, უნდა გვეთქუა რამ ქართუჱლ-თათრებ მესხელების ჩუჱულებაზედ და ცეკვა-სიმღერაზედაც, მაგრამ, რას იტყვის კაცი, როდესაც ისევე ის ჩვეულება აქუსთ მესხელებს, რა ჩვეულებაცა აქუსთ, ჩუჱნ ქართუჱლებს, გინა კახელებს; ერთხელ, მონასტრის სანახავად რა მივდიოდი, გავიარე იმ სოფლის ბოლოს, რომელშიაცა ჰსცხოვრებენ ქართუჱლ-თათრები და რომელთაცა ქართული ენა სრულებით აღარ იციან, რადგანც ოსმალოს მთავრობას, შიგ ქურთები ჩაუყენებია, რა არის, ენა ამოხოცონ.—უცებ მინდორში შემომესმა ჩუჱნებური ოროველა. მივიხედე, ვნახე, გუთანი ებათ და ჰხნავდნენ; ვიფიქრე ქართუჱლები იქნებოდნენ, რა ახლოს მიველ, შევიტყე, რომ სრულებით

ქართული არ იცოდნენ. ქართული სოფლური სიმღერები ისევე ის არის, რაც ჩეჩნში, ერთს სოფელში შემიღამდა, იმ ღამეს იქ დავდექი, ჩემ საყვარელ მმებ მესხელებში, მაგრამ გათათრებულებში,—სახლის პატრონისა, რომელსაცა ერქჳა სახელად აბდულ-ალი-ოღლი, ვსთხოვე ეთქჳა სიმღერა,—ამ აბდულ-ოღლის ნამდვილი გჳარი, როგორც თითონ მითხრა, ყოფილა სამხონაშვილი,—აბდულამ, ორიოდე ჩაახველა, ჩემ წინ წამოიჩოქა და დაიწყო სიმღერა ჩეჩნებურ კილოზედ.

„გაღმიდან გამომეძახა, მე ვარ გოგნაძე ბერიო,
თორმეტი უღელი ხარი მყავს, ინდუშა და ჭრელიო,
ორასი თავი ცხვარი მყავს, სულ მიაქჳსთ ტყე და ვე-
ლიო,
ორმოცი ჭაკი ცხენი მყავს, სულ ილხში გარეულიო,
თამარ დედოფალი მესტუმრა, მჭადით ვარ მასპინძელიო
წყალში გოდორი ჩამიდგამს, თევზით ავსებას ველიო,
ამ საქონლის დამკარგავსა, სიკჳდილო რაღას ელიო!»

გუთნის ოროველაც მიმღერა ჩემმა კეთილმა აბდულამ. აი ესეც:

«დირბი, დირბიო, დირბიო,სოფელი ვნახე დიდიო,
ლეკები გადმომეგებნენ, ლეკები დაღისტნელიო,
ერთმა მესროლა ლეკური, მეორემ დაატანაო,
მესამემ თოფი დაცალა, ახლო არ მამეკარაო,
სამივ დავკოჭე ლეკები, მივგვარე ათაბეგსაო,

იმან ზილდანში (*) ჩაყარა, ბორკილი შეუყარაო,
იმისი დედ-მამა ცხონდეს, მე ჯევრი ამამყარაო,"

ჩემი მასპინძელი აბდულა ისე გულკეთილი იყო, რომ ოთხი და ხუთი თავისი მეზობლები შემოასხა და ფერხისაც დამიბეს.—აი იმათი ფერხული სიმღერა:

„სიმე სიმამრიო, მთას ნადირობდნენ,
სტყორცნა სიმემა, მოკლა სასიძო,
სტყორცნა სიმამრმაო, მოკლა სასიძო,
შჳლო ელენე, მოგიკალ ქმარი,
შეჭყევ ღელესა, ახვალ ვაკესა....
აქშა ყორანო, შენ ბიჭო, ნუ სჭამ თვალებსა,
ნაცქერი არის, შენ ბიჭო, დანიშნულისა,
აქშა ყორანო, შენ ბიჭო, ნუ სჭამ მკლავებსა,
ნახვევნი არის, შენ ბიჭო, დანიშნულისა,
აქშა ყორანო, შენ ბიჭო ნუ სჭამ ტუჩებსა,
ნაკოცნი არის, შენ ბიჭო, დანიშნულისა.

ბოლოს ამ სიმღერით გაათავა ჩემმა აბდულამ:

„ხევსურნი დასხდნენ დარიგდნენ,
ღვინოს სმენ თასებითაო,
თავზედ ადგანან ტყვეები
ნაყიდი ფასებითაო,
მასვი ღვინო, მიგდე თასი,

(*) საპყრობილეს უწოდებენ, საათაბაგოში.

გამიწვიე შენთან დამსვი!

არა თუ ოსმალური არ იციან,—ისიც არ იციან, ოსმალებს აქვსთ რამე სიმღერა, თუ არა, ჯერ ეს საკმაო იყოს, დანარჩენებს შემდგომში ვაცნობებ მკითხველებს.—

ი. კერესელიძე.

---

# გულის პასუხი

გვქონდა ოდესმე გული კოდვილი,
როს ძნელდებოდა საქმე ადვილი,
თუ ჭკპატიჟებიდი, ბულბულთ სადილად,
საქმეს იქმოდნენ ძნელსა ადვილად.

ვარდის კონებსა თუ დაუკლებდნენ,
ისინიც მაშინ დღეს დაულევდნენ,
წარბისა შეკვრით აცეობინებდნენ,
მოურიდებლად კიდეც ეტყოდნენ:

„რათ დაგვაკელი, კონა ვარდისა,
„რომელიც არის ჩუქნის ხონთქრისა,

„დიდი ხანია არ გვიყნოსია,
„ვგონებ რომ, შენც ჯერ არ გიკვნესია".

როს ვარდის კოკორს ჴელში მისცემდი
სიადვილესაც მაშინ ისმენდი.
იმ დროს არ არის, ექვან და ზავთსა,
მეტადრე თუ ის ყნოსვითაც ჩათვრა.

როს მივიდოდა ბულბულთან კაწი,
ჴელ ცარიელსა ეტყოდა „გასცი"
ჯერ კონა კონა აწყე ვარდები,
და მერე განქრენ შენი დარდები.

აწ გავისტუმრეთ, წარსულნი დრონი
და მათვე წაჰყვნენ, ბულბულთა ხრონი.
აწ მივეგებოთ ახალსა დროშას,
რომ ემგზავსება მშჳენიერს შრომანს!

ი. ქაჩუხა-შჳლი.

1868 წელსა.
10 მარტს.
ახალ-ციხე.

# ბეატრიჩე ჩენჩი

იყო მეთექვსმეტე საუკუნეში,
თხზულება გვერაციისა.

---

## თავი I.

## ფრანჩესკო ჩენჩი.

ვინც კი შეიძლებს გარდმოგვცეს იმ შეყრილობის სურათი, რომელიც შეყრილობა იყო ფრანჩესკო ჩენჩის სასახლის სასტუმროში, ის გამოგვისახავს მშუჱნიერს დ დიდებულს საგანს.—

ახალ გაზდა ქალი ოცის წლისა იჯდა დაბლად მაღალ ფანჯარისა, რომელსაცა ჰყვანდა ბავშჳ გულზედ მიყრდნობილი დედის კალთაზედ მჯდომარე; უკანითვე იმ ქალისა, იდგა მშუჱნიერი ყმაწვილი კაცი, რომელსაც დაეკრიფნა ჴელნი გულზედა, ღიმილითა დ განცვიფრებულ მზერითა ჰხარობდა თავის ცოლ-შჳლზედ; ერთისა შეხედვით კაცი შეატყობდა იმის მდგომარეობასა: დაჰკრეფილნი ჴელნი მისნი ნიშნამდა მსურვალე მადლობასა, რომელსაც ჰსწირამდა ის უფალსა ბედნიერე-

ბისათჳს; ღიმილი მისი ნიშნავდა სიხარულსა, რომლითაც შეხაროდა ცოლსა და განცვიფრებული მზერა მისი იყო მიმართული შჳლზედა, და სძღებოდა იმის მზერითა. ახალ გაზდა ქალი იყო გართული ბავშჳსა მოვლაში და ვერა ხედვიდა თავის ქრმის მდგომარეობასა, ბავშჳ ემსგავსებოდა ანგელოზსა, გარდმომავალსა ზეციდგან.

მეორე ბოლოს იმ სასტუმროსი, იჯდა კაცი წამოწოლილი დიდსა სკამზედა; პირის სახე, რომელსაც უჩნდა მაღალ შლიაპისგანა, ესე იგი, ქუდიდგან, თმანი მას ზედა, იყვნენ დანგრეულნი და გათეთრებულნი მოხუცებულებისა გამო, პირის სახე მისი იყო შავი და დამჭკნარი. ის იყო გამოხვეულ გრძელსა ნაბადის მზგავს სახვეველში, რომლითაც ჰფარავდა თავის რკინეულებასა, რომელნიც ერტყა მას წელზედა, რადგანაც იმ დროებაში პაპისგან ესე იგი, ქრისტეს მოადგილითგან, (პაპას რომში ჰქჳან იმ აღმორჩეულ კაცსა, რომელიც არის ნაკურთხი პატრიარხათ და ეძახიან იმას იესო ქრისტეს მოადგილესა). იყო ბრძანება, რათა არავის არ ჰქონდეს იარაღი ტანზედა.—

მათ გარდა ორნი ყმარწჳლნი კაცნი დასეირნობდნე იმავე სასტუმროში, რომელნიც ბაასობდნენ, ხან ხმა მაღლივ და ხან ხმა დაბლა, ერთი მათგანი იყო კაცი ფერათ წითელი, ფერთა-მჭამლისა გამო, თვალნი მისნი იყვნენ შავნი, როგორც მაყვალი, კბილნი მისნი წამხდარნი იყვნენ, ტუჩნი და ლოყანი გამხმარნი და აგრეთვე

დამჭკნარნი, ერთი სიტყჳთა შეხედულება მისი ემსგავსებოდა ბოროტსა კაცსა, თუმცა ბოროტებანი მისნი იყვნენ დაფარულნი გარეშე კაცთათჳს, მაგრამ ყოველივე მისი სიბოროტენი იყვნენ ცხადათა ჩენილნი თავის ცოლშჳლისათჳს, რომელნიც იყვნენ ფრიად უბედურნი მის ჴელში და მისის შიშისა გამო არ ძალ ეძლოდ გამხილვად ბოროტებისა მისისა და ამისათჳს ცოლშჳლნი მისნი იყვნენ დაღრემილნი და დამწვარნი, ყოფა-ქცევითა მისითა.—კეთილის საქმისათჳს ფრანჩესკო ჩენჩსა შურდა დახარჯვა ერთისა გროშისა და ბოროტისათჳს არ დაიშურებდა ერთსა მილიონსა.—იმ წერტილადმდე დავიდა მისი სიბოროტე, რომ ბოლოს შეადგინა სია, თუ რამდენ ბოროტებისათჳს რა დახარჯვია და მისგან შეიტყო რომ ერთი მილიონის კაცთა მოკუ̂ლისათჳს დახარჯოდა სამი ათას სამასი მანათი, რომელიც ეჩვენებოდა იაფათა; და კიდევ ავაზაკობისა მიჩვევაზედ დახარჯოდა ორი ათასი მანეთი, რომელთაც გროშათ არ აგდებდა.—ფრანჩესკო ავაზაკობაში მარტო დავიდოდა ცხენითა და როდესაც ცხენი დაუღალდებოდა მიატოვებდა და ვისიც ცხები მოეწონებოდა, პატრონს ძალათი წაართმევდა და თუ პატრონი უარს ჰყოფდა იმ წამში მოჰკლამდა და ცხენს თჳთონ წაიყვანდა. ერთის სიტყჳთ სადაცა ფრანჩესკო გაჩნდებოდა მისსა მცნობთა, ყველას შიშის ქარი ჩაუდგებოდა და ყველა იგრძნობდა მის გამო მომავალ უბედურობასა. მტერთა მისსა ყველასა ეშინოდა წინააღდგომა მას ზედა, და ამისათჳს იყვნენ მო-

რჩილნი მისნი. ერთ დროსა,—ფრანჩესკომ მოაგროვა რამდენიმე ავაზაკები და მით დახოცა რამდენიმე კაცი და გვამნი მათნი დახოცილებისა ჩამოაკიდვინა პაპა სიკსტის V სასახლის წინეთა და იმ დროს პაპასა ჰყვანდა სტუ-მარნი დაპატიჟებულნი სადილათ, პაპა უცებ გამოვიდოდა ბალკონზედ და შეხედამდა ჩამოკიდულთა გვამთა და ეტ-ყოდა თავის სტუმართა:

—თუმც თჳალნი ჩემნი არ მატყვილებენ მე მოხუ-ცებულებისა გამო ეს, ჩემი სასახლე, რაღაცა უბედურე-ბით შემორტყმულია, წა დით შეიტყეთ და მომეცით ცნობაჲ.

ფრანჩესკომ შაიტყო რა ესე გაიპარვიდა თავის სა-სახლეში, პეტროლაში და იცხოვრებს იქ თავისა სიკვდი-ლამდე. იმა სასახლესა ერქჳა სახელად «სასახლე ავაზა-კობისა».

ფრანჩესკო ჩენჩი იყო ტანად მრთელი, და თუმცა მოხუცებული იყო, მაგრამ ტან მრთელობა მისი აკვი-რვებდა ყველასა; გაჩენილი მშჳნიერ გონებითა, გამო-უთქმელ პირ მოთნეობითა და სიტყჳა პასუხითა, ფრა-ნჩესკო ემსგავსებოდა ფილოსოფოსსა; შეხედულობა მი-სი იყო შემდგომი: პირისა სახე მისი იყო დამჭკნარი, თჳალნი მისნი ჰგამდნენ მოხარშულს თევზსა, შემორ-ტყმული სისხლისა მარღვებითა, რომელნიცა ამზგავსე-ბდნენ იმასა ბოროტსა კაცსა და ერთისა შეხედვითა შე-ატყობდა კაცი, რომ ის იყო ავაზაკი.

ვგონებ ბევრი რამე მოგახსენეთ ამ კაცზედა, და ვე-

ცდები კიდევ განმარტებით აღვიწეროთ იმისი ცხოვრება:

საღამოზედ გრაფ ფრანჩესკო ჩენჩი ადრე წავიდა თავის სასახლის ნახევარში, რომელიც ჰქონდა იმასა მითჳსებული და წასვლისა დროსა არ იკადრა გამომშჳდობა ცოლ-შჳლისა თჳსისა; მოსამსახურესა თჳსსა, მარციოს, რომელიც მზათ იყო წაჰყოლოდა თჳსს ბატონსა მოსამსახურებლათა ჩვეულებისამებრ, გაუწყრა ფრანჩესკო და უთხრა:

—წადი აქიდამ, საჭირო არა ხარ, მე ნერონი მეყოფის.

ნერონი იყო ფიცხი მაღლი. ფრანჩესკომ დაარქჳა იმას სახელად ნერონი, თუმცა მისათჳს, რომ უწინდელ რომის კელმწიფესა ერქჳა სახელად ნერონი, მაგრამ უმჯობეს იმისთჳსა, რომ სახელი ნერონი ნიშნამდა მალიანსა და შეუშინებელსა.—

დაწვებოდა რა ჩენჩი თავის ტახტზედა, დაიწყებდა ტრიალსა მას ზედ, გვერდები მოუთმენელობისა გამო მერმეთ კვნესიდა და შემდეგ კვნესისა იწყებდა გახელებულისამებრ ყვირილსა. თავისი მაღლი ნერონი ჰასუხსა აგებდა ბღავილითა.—რამოდენიმე ხნის შემდეგ ფრანჩესკო წამოვარდებოდა თავისის ზეწრიდგან და დაიწყებდა ყვირილსა:

—ვგონებ მომიწამლეს ზეწარი!!.... ამ გვარი მაგალითი ბევრჯელ მომხდარა.... ახ! ალიმპია! შენ ჩემგან გაიქეც!... მაგრამ მოითმინე, მე მოვალ შენადმდე, არავინ არ უნდა წავიდეს ჩემის კელიდამ!... ეს რა მშჳ-

დობიანობა არის ჩემს გულში?.. ეს რა ანბავია, არავის ხმა ისმის ჩემ სახლში? ყველასა სძინამთ!....ამისათჳსა რომ მე არ ვაწუხებ იმათას......

მარციო!

მარციო შემოვარდება იმ წამსვე.

—მარციო! უბრძანებს მას ფრანჩესკო, რასა შვრებიან, ჩემნი ცოლშჳლნი?

—ყველასა სძინამთ.

—ყველასა?

—დიახ, ყველასა, ამისათჳსა, რომ არავის ხმა ისმის ⁊ უეჭველია სძინამთ.

—კარგი, როდესაც რომ მე ვერ დამიძინია, იმათ როგორ გაბედეს დიძინება უჩემოთ? წადი, ნახევი, თუ მართლა სძინამთ, ეცადე არ გააღვიძო არავინ, განსაკუთრებით კარი ვირგილის ოთახისა, გააღე ჩუმათა ⁊ შეიტყე; თუ იმასაცა სძინამს, შემატყობინე.

(მარციო წავა.)

—ნეტავი მართლა თუ ვინმემ ჩემთა ცოლთა შჳლთაგან გაებდა მოწამლა ემა ზეწრისა, ნეტავი თუ იპოვება ჩემს სასახლეში იმ გვარი სული, რომელიც აღასრულებდეს ამ გვარ საქმესა. მომითმინე შენ გველო, აღმსრულებელო ამა საქმისა, მოვესწრობი მალე შენსა სიკუდილსა!..

(მარციო მობრუნდა ⁊ მოახსენა):

—თქუჱნო უმაღლეს ბრწყინვალეებავ! ყოველთა სძინამთ ⁊ ვირგილისაც აგრეთვე, მაგრამ ვირგილი,

როგორც ეტყობა მისსა ცივებისა მეტრ ქვნემასა, ღვი-მარობს.

—შენ კარგათ დაუკლიტე ვირგილის კარი?

(მარციომ მიუგო თავის დაქნევითა.)

—მაშ კარგი, წაიღე ეს თოფი და ვირგილის კარ-თან დაცალე და მერმეთ დაიწყე ყვირილი: ცეცხლი.... თქო! აი მე იმათ ვაჩვენებ როგორ უნდა ძილი, მაშინ, როდესაც მე არ მძინამს.

—ბატონო!....

—რაო, რას ამბობ?

—მე არაფერს ვყოფ თქჳენს ბრძანებასა, მაგრამ გე-ბრალებოდესთ მომაკვდავი ავათ-მყოფი ყმაწვილი....,

—მერმეთ სთქვი, გაათავე....

—და ამითი მოხდება, ბატონო, უბედურება რამე, და შიში მრთელ ამ მხარესა.

ფრანჩესკო ჩენჩი ერთი ღერისა თმის ტოლით არ მიიღებდა სიტყვასა თავის მოსამსახურისა მარციოსგან, განრისხდებოდა მას ზედა და ამოიღებდა ბალიშის ქვე-შიდამ დამბაჩასა და მიუშვერდა შუბლშია მარციოსა, მოსაკლავათ მისთა, მარციო შეშინდებოდა და გამოიც-ვლებოდა ფერითა, ფრანჩესკო შეატყობდა, რა შეშინება-სა მისსა, ეტყოდა მარციოს ხმის დაშვებითა:

—მარციო! თუმც რომ ამას იქითა გაბედე შენ ჩემი წინაღმედგომა მე შენ როგორც ძაღლსა ისე მოგკლამ. ახლავ წადი და აღასრულე ჩემი ბრძანება!

მარციო წავიდა დაღონებული აღსრულებად გრაფის

ბრძანებისა.

არ ძალმიძს აღწერად იმა შიშისა, შიშითა რომლით გამოიღვიძებდნენ საწყალნი ცოლშვილნი ფრანჩესკოსი, განსაკუთრებით ავათმყოფი ყმაწვილი ვირგილი, წამომოვარდებოდნენ რა საწყალნი თავიანთ ქვეშაგებიდგან შეშინებულნი, დაიწყებდნენ ყვირილსა და ტირილსა და ცდილობდნენ გაღებად კარისა, რათა შაიტყონ უბედურობა ისა, რომელიც დაეცათ იმათ ძილის დროს, მაგრამ პასუხი არ იყო. და ამისათჳს დავარდებოდნენ თავიანთ ქვეშაგებელთა, რათა ჰპოვონ ნუგეში ძილითა თჳსითა.

ორ საათს უკან გრაფი ფრანჩესკო კიდევ დაუძახებდა ლაქეის და ჰკითხავდა:

—რაო, გათენდა თუ არა?

—არა თქჳენო ბრწყინვალებავ.

—ემდენ ხანს რისთჳს არ გათენდა?

მარციომ შეყარა ბიჭები და არ იცოდა თუ რა პასუხი მოეხსენებინა.

გრაფი გაიღიმებდა დაცინებითა თავის კითხვაზე.

—მალე გათენდება თუ არა?

—ერთს საათს უკან, ბატონო.

—ერთს საათს უკან!... ოხ!ერთი საათი მისთჳსა ვისაც არ სძინავს ერთიწელიწადის მსგავსი არის. ოხ! ჩემო!.... უყურე კინაღამ ღმერთი არ მივამატე. ამბობენ თუ ძილი წინამძღოლი არისო კეთილ კაცთათჳს და ეს თუ მართალი იყოს მე რისთჳს არ მძინავს ისრე, როგორც ეძინათ იმ შჳდსა დევსა, რომელნიც ულოდინებ-

დნენ იესოსა...... რა ვქნა ეხლა არ ვიცი?... აა! მოდი ერთი ეს ერთი საათი მოვიხმაროთ, რაიმე კეთილ საქმეში, მოდი დავიწყოთ სწავლა ჩუენი ნერონისა!

და უბრძანებდა, ფრანჩესკო მარციოსა წაღებად თავისა კუკლისა და დადგმათ მისსა იმ ზალაში, სადაცა გამოდიოდნენ ოთახნი თავისის ცოლშვილისა. და თჳთონ წაიყვანდა მაღლსა მეორე ოთახში და დაუწყებდა კელების სმასა, მერმეთ გააღებდა უცფვათა ზალისა კარსა და მიუშვებდა გახელებულსა მაღლსა კუკლაზედ, ნერონი ბღავილითა და ყეფითა მივარდებოდა თავისა კუკლას და დაგლეჯდა მას ნაჭრებად, გრაფი ფრანჩესკო იყო ამ ხანად განუზომელ სიხარულში, და ხარობდა ყოფა ქცევითა თავის მაღლისა; აი რას ეტყოდა ფრანჩესკო ამ დროს მარციოს:

—ეს ჩემი საყვარელი შვილი არის. მე გავზარდე ნერონი ისრე, რომ მაგას შეუძლიან დამიცვას მე ჩემის მტერისა და მოყვარისაგან, განსაკუთრებით, ჩემი საყვარელი შვილებისაგან, და ჩემის საყვარლის მეუღლისგანა, და აგრეთვე შენგანაც ჩემო მარციო. (და ამ დროს ფრანჩესკო დაადებდა მარციოს ბეჭებზედ კელსა).

დასცა რა განუზომელი შიში თავის მშინარეთა ცოლშვილთა, გამობრუნდებოდა იქიდამ და წამოწვებოდა თავის ტახტზედა და განთიადს მიეძინებოდა ტკბილისა ძილითა, შემდეგ-ძილისა ასდგებოდა რა, პირის სახე მისი იქნებოდა ღრუბლიანი.

—მე ვნახევი საშინელი სიზმარი მარციო! მე მეზ-

მანა ვითომც, სადილსა ვსჭამდი მიცვალებულებთან და ამისათჳს ვგრძნობ, რომ ჩემი სიკუდილი ახლო არს, მაგრამ სანამ მე მოვკუდებოდე, ბევრნი გამასწრობენ მე, საჭმელად იქა სადილისა, ბევრნი წავლენ ჩემზედ უკან, ბევრნი ჩემო მარციო! იმისთჳს, რომ მამიმზადონ მე იქ სადილი.

—თქუენო უმაღლეს ბრწყინვალებავ! ბარათნი მოვიდნენ ისპანიიდგან ფოჩტითა, და თქუენს კაბინეთში დავსდე სტოლზედა.

ფრანჩესკო ჩენჩი წავა თავის მაღლითა და მარციოთი თავის კაბინეთში. მზე აგვისტოსა წმინდათა ანათებდა დილის შუქითა იმ დროს, როდესაც ფრანჩესკო დაჯდებოდა თავის სტოლთანა, რომელზედაც იდვა ბარათი. ამ დროს ფრანჩესკო შეხედავს მზესა და ეტყჳს მარციოს:

—მარციო! ეს მზე რომ სანთელი იყოს შენ გააქრობდი თუ არა?

არა ბატონო, ღმერთმა დამიფაროს.

—მე იმ წამსვე განვაქრობდი.

სხუა ბოროტებისა გარდა მზისა გაქრობაც მოინდომა გარყვნილმა და უღმრთომ ფრანჩესკომ.

ამ დროს აღიღებს სტოლიდგან ბარათსა და წარიკითხავს რა იმათა, გულ მოსული დაჰკრის ჰოლზედა და სთელამს ფეხ-ქვეშა და ნამეტნავი სიბოროტითა აღმოსთქუამს თავის პირიდგან:

—ყველა მდიდარი არს! ოო! უფალო შენ ამას გა-

ნკებ მიშვრები!

და დამუჭამდა მუჭსა და განრისხებული გაიქნევ-გამოიქნევდა უკანა და მოხვდებოდა მუშტი მის ნერონსა შუბლზედა, რომელსაც ძლიერ ეტკინებოდა და გავარდებოდა გაცოფებული იმ სასტუმროში, სადაცა ზემო აღნიშნული მოურილება უცდიდა ფრანჩესკოსა, გავარდებოდა რა ნერონი იქ, ფრნჩესკო ეტყოდა თავის მარციალოს:

—ეს ძაღლი ჩემი საკუთარი შჳლი, რომ ყოფილიყო მიკბენდა.

---

## კულა.

### თავი II.

ის ორნი კაცნი, რომელნიც დასეირნობდნენ და უცდიდნენ გრაფსა მისს სასტუმროში ერთი იმათგანი, რომლიც იყო ფერად წითელი, სახელად სანტა კროჩე, იყო შემოყვანილი გრაფთან კაბინეთში თჳსის ლაკეით მარციოთი. ფრანჩესკო თავის მომცნეობითა მიეგებებოდა სანტა კროჩესა და ეტყოდა:

—მობძანდით კნიაზ! რას ბრძანებთ, რისთჳს გასჯილხართ?

სანტა კროჩე სთხოვს საშუალებასა ფრანჩესკოს, რათა დედაი მისი ძლიერ აწუხებდა სანტა კროჩესა და

და თავის დროზედ არ აძლევდა მას ფულებსა, რომელიც დაუტოვა მას მამა მისმა; და ამისათჳს შესთხოვა გრაფსა გაშველება და მოახსენა:

—უფალო გრაფო, თქუ̂ენმა კეთილ გონიერებამან, ჭკუამან და სინიდისმან განსჯრან საქმე ესე და თუმცა დედა ჩემი მემართლებოდეს მე ვიყო დაჩაგრულ თქუ̂ენგანა.

ბოროტებით სავსე ფრანჩესკო გაიღიმებს ეშმაკისა გაღიმებითა და ურჩევს სანტა კროჩესა მოკუ̂ლასა დედისა, ღამედ, როდესაც ის დაიძინებდა და თუ რამე ამაზედ საქმე შესდგება გრაფი მომხმარე იქნება სანტა კროჩესი. სანტაკროჩე გარდუხდის მადლობით და გამოვა გრაფითგან, ფრანჩესკო გამოაცილებს იმასა და ეტყვის:

ღმერთმან ჴელი მოგიმართოს თქუ̂ენს საქმეში, კნიაზო!

და გამობრუნებული იქიდამ იტყვის:

—ანბობენ თუ კაცთა ჰატივცემული არა ვარ? აი თუ არა ვარ შემწე კაცისა.

---

## მ ო ტ ა ც ვ ა.

### თ ა ვ ი III

მობრუნდა რა გრაფი თავის კაბინეტშია, ნახვიდა იქა მსხდომარეს მეორე სტუმარსა, რომელიც იყო ფერად ნაკლული, გრაფი მიეგებებოდა იმასა თავისის ჰორ-

მომცნეობითა:

—მშვიდობა თქუჴნი მოსვლა, უფალო გერცოგო!

გერცოგი, რომელიც იყო მოსრული გრაფთან აღებად მისგან რჩევისა, ამოქვნეშიდა დაღვრემულ გულითა.

—რასა ქვნეშით უფალო გერცოგო! რა მწუხარება უნდა ჰსცხოვრებდეს ჯერეთ თქუჴნს გულში; როგორ გასძლებთ ჯერეთ თქუჴნი წლოვანება ნებასა მიცემად განუზომელ მწუხარებასა?

—ვარ მიცემული გამოუთქმელ სიყვარულსა.

—დიახ, მაგრე უნდა საყვარელო შვლო ჩემო! გიყვარდეს ყოვლითა სულითა ⁊ გულითა შენითა. შენი დრო ეხლა არს სიყვარულობისა, თორემ ჩემი დრო დიდხანს წავიდა, ჩემმან დროებამან დაჰფარა თავი ჩემი თოვლითა, ⁊ გული ჩემი შეავიწროვა ყინვითა, შენ მთა ⁊ მიწა ⁊ მთელი ბუნება გირჩევსთ სიყვარულსა.

«წყარონი, ხენი, ზღუანი სიყვარულზედ ანბობენ,
«წვანილნი, თევზნი ⁊ ჩიტნი სულ ერთობით გალობენ,
«⁊ ყოველნი ხმის ერთითა შენ სიყვარულს გირჩევენ.

⁊ ამ ლექსითა ფრანჩესკო ნუგეშსა სცემდა ახალგაზდა სტუმარსა გერცოგს, რომელიც იდგა თავ ჩალუნვითა ⁊ ჰრცხვენოდა შეხედვად გრაფისა, მაგრამ გრაფი

დაუწყებდა თავის ჰირ მომცნეობითა:

—შვლო! სიყვარული სირცხვილი როდი არს და ამისათჳსა უნდა ამბობდე მას ზედა უსირცხვილოთა.

—მაგრამ ჩემი საყვარული უიმედო არს:

—რათ ბრძანებთ მაგასა, გერცოგო, თითონ კარნი ჯოჯოხეთისა უიმედო არ არს. განა თუ სიყვალული, მაგრამ ერთი მიბრძანეთ ვინმესი ცოლი თუ არ გიყვარსთ, რომელიც უიმედო იქმნების თქუჱნის სიტყვისა მებრ, სადაცა შეხვდების რამდენიმე დაშლილება, რომელნიც იქმნებიან კლდეთა გარდაუსვლელითა: ერთი ქმარი, რომელიც იქმნება ვითარცა კლდე თავის ცოლისათჳს და მეორე ათი მცნებანი.

—არა უფალო გრაფო! ჩემი სიყვარული წესიანი არს.

—მაშ შაირთეთ ცოლად.

—ღმერთმან იცოდეს თუ რა რიგათ მსურს აღსრულება ამისი, მაგრამ ამ გვარი ბედი ჩენთჳს საკადრისი არ არის.

—მაშ ნუ შაირთამთ.

—ის ემაწვილი ქალი, რომელიცა მე მიყვარს, ჩემდა უბედურობითა უბრალო გვარის ქალი არს, მაგრამ რომ ნახოთ მისი მშუჱნიერება და მისი სინიდისი და ამასთანავეც ეშხი, განკვირდებით და ამისათჳს ღირსი არს ჩემი ცოლობისა და აგრეთვე ჴელმწიფის გვირგვინისა.

—მაშ რადგანც ასრე არს შაირთეთ ცოლათა.

—ჩემი სხეული, რომ მიწათ გარდიქცეს, ჩემი სუ-ლი მოუშორებელათ მასთან იქმნების.

—კარგი საყვარელო შვილო, რადგანც თქვენ მობრძანებულხართ ჩემთანა, რჩევისა მისაღებად და მხადით მე როგორც გამოცდილსა და გონიერსა კაცსა, ამას, არა გაეწყობა რა მეტი, როგორცა მოტაცვა იმა ქალისა, რადგანაც უწინდელნი სიძეები ამასა შვრებოდნენ, და ამაზედა რაც რომ ღონის-ძიება მექმნების, თქვენი შემწე ვიქმნები.——და თუ თვალნი არ მატყუვილებენ ის ალიმპი უნდა იყოს, ალიმპი! ალიმპი!....

—რას ბრძანებთ თქვენო უმაღლეს ბრწყინვალებავ! მიუგო ალიმპიმ, რომელიც იყო პირველი თანაშემწე მისი რაზბონიკობაშია და აღასრულებდა მოსამსახურისა საქმესა, და იყო წამოწოლილი, როგორცა ვნახეთ დიდსა საგანზედა გამოხვეული იარაღებითა გრძელ სახვეველშია.

—აი ალიმპი შენ უნდა მოეხმარო როგორმე ამ უფალ კერცოგსა და ამის საყუარელი მოიპარო ფალკონერის სახლიდამ ან სახლის გატეხვითა, ან ფანჯრის გამოღებითა და ან როგორმე შენის მოხერხებულებითა, უნდა აღასრულო თუ გნებავს ჩემგან საჩუქარი.

—კარგი, ბატონი ბრძანდებით, ხარაზსა სწავლა წაღების კერვისა არ უნდა, ის მე ვიცი როგორ მოვახერხებ, მაგრამ ოთხი კაცი კიდევ დამჭირდება:

—კარგი ვიშოვით.

ამ დროს გრაფი დაუძახებს მარციოს, მარციო შე-

მოვა.

—მარციო გაიყვანე ეს კაცი, (აჩვენებს ალიმპიზედ), დ̃ კარგათ მოასვენე, რომ არვინ არ იცნოს, რადგანაც პოლიცია დაეძებს. მარციო წაიყვანს ალიმპის, მაგრამ ვერ იცნობს, რადგანც ალიმპი გარდაცმული იყო სხუა ტანისამოსში დ̃ ამისათჳს ალიმპი დაუწყებს ლაპარაკსა მარციოს:

—მარციო! ველარ მცნობ მე შენა, ჩამაცქერდი დ̃ მიცნობ, როგორც მე გიცანი შენა.

—მე ვერ გამიგია რაღაცასა ბრძანებთ, მიუგო მარციომ.

—როგორ ვერ გაიგე, მე დ̃ შენ საყვარელნი არა ვართ იმა ქალისა, რომელიც ჩამოიკიდება ჩამოსახჩობად, ეხლა კიდევ ვერ მიცანი?

—ახ! შენ ალიმპი ხარ! სად იყავ ამდენ ხანს.— დ̃ აქ დაიწყება იმათი მილოცვა ერთი ერთმანერთში.

ამ დროს გრაფი გაისტუმრებს ნუკეშ ცემულსა ბერცოგსა, რომელიც მივიდოდა დაღონებულად დ̃ წავიდა რა ისა ბოროტებით სავსე, გრაფი ფრანჩესკო ჩენჩი იმწამსვე მისწერდა წიგნსა რომის გუბერნატორსა ამ სახით:

თქუ̃ენო აღმატებულებავ!

ბერცოგი სერაფიმ ალტემი ჴსცდილობს ხვალ ღამ ქალის მოტაცვასა სახლიდამ ფალკონიერისა ქალიშჳლ ქალსა ლუკრეციასა დ̃ ამასთანავე ბერცოგს უშოვნია კი-

დუკ ოთხნი რაზბოინიკნი, თავი რომელთა არის ალიმპი, რომელსაც პოილცია ეძებს ორ წელსა და ვერ უპოვნია და ამისათჳს იყავით მზათ როგორმე დაიჭიროთ ის რაზბოინიკები, და ამბუნტებელნი ქალაქისა.—დასწერა რა ეს წიგნი სხჳა ჴელითა გაუგზავნა გუბერნატორსა.—

—აი ეხლა იმ გერცოგსა კარგი რჩევა მივეცი, ალიმპიც დაიღუპვის, რომლისგანაც მე მსურდა თავისუფალ ვყოფილვიყავი, ეხლა დამრჩა ის წითელ ფერა კაცი სანტაკრუზე, იმასაც რაიმე ოინს მოუგონევ.

---

## დასჯილი ბედნიერება.

### თავი VI.

ახალ გაზდა ცოლ-ქმარნი შემოვიდნენ გრაფისა კაბინეტში, ქმარმან გულს მოდგინეთ ამბორს ჰყო ჴელი გრაფისა, თუმცა ცოლსაცა ჰსურდა კოცნა ჴელისა, მაგრამ ბავშვი, რომელიც ჰყვანდა კლავზედა დაუშლიდა მას აღსრულებად თავის სურვილისა; გრაფსა ერთისა ქალისა შეხედვით, რომელიც იყო ფერად ლამაზი, გაუცეცხლდებოდნენ თვალები სიბოროტითა.

—თქჳენ ვინა ბრძანდებით კეთილნო სულნო და ან რა საჭირო ვიქნები თქჳენთჳსა, მიუთხრა პირ მომცნეობითა გრაფმა.

—ბატონო! მიუგო ვაჟმა, მე ვერ მიცნობთ? მე იმა სტოლიარისა შჳლი არ გახლავარ, რომელიც თქჳენ მოარჩინეთ სიკჳდილისაგან?

—აა!!! ეხლა მახსოვს.

მამა შენი კარგათ არის?

—არა ბატონო, ღმერთმან წაიყვანა და სიკჳდილის დროს სულ თქჳენ ლოცვაში იყო.

—აცხონოს ღმერთმან, ეს თქჳენი ცოლი არის და ეს ბავშჳ შჳლია თქჳენი?

—დიახ, ჩემი ცოლი გახლავსთ უფალო გრაფო, და მოვიყვანე თქჳენთან მადლობისა შეწირვად.

—თქჳენ ბედნიერი ბრძანდებით თქჳენი მეუღლის ჴელშია? მიუთხრა გრაფმა.

—გახლავართ ბედნიერი ღჳთისა და თქჳენის წყალობით.

—ეს მარტო არ მამწონს თქჳენგან, რომ ნათლიათ არ დამპატიჟეთ და ეხლა რა გაეწყობა, აი საყვარელნო შჳლებო მიიღეთ ჩემგან ეს სამასი მანეთი საჩუქრით და უყიდეთ ბოშჳსა და თქჳენთვისაც ტანისამოსი, რათა კარგი ტან-საცმელი კაცისა დამამშვენებელნი არიან.

ცოლ ქმარნი მადლსა გარდუხდიდნენ და გამოვიდოდნენ გრაფითგან, გრაფი მოიხმობდა ალიმპის და ეტყოდა:

—იცი შენ ალიმპი სახლი სტოლიარისა რიპეტის ქუჩაზედ?

—როგორ არ ვიცი, ის ახალ გაზდა კაცი, რომე-

ლიც იცდიდა სასტუმროში თავისი ცოლით, ვიცი ვიცი.

—მაშ თუ იცი ხვალ საღამოს შენებურათ მიდი იქა და იმ სტოლიარის სახლი დასწვი და მე ვიცი შენი ჰატივის ცემა.

—ბატონი ბძანდებით.

დარჩა, რა მარტო გრაფი, დაიწყო თავისთჳს:

—აი რა საქმეები აღვასრულე მე დღესა: კაცის კჳლა, მოტაცება, ცეცხლის გაჩენა.—ჩემს სიცოცხლეში ეშმაკმან უნდა მოისვენოს, ერთი ჴემწიფე იყო, თუ იმ გვარი დღე წავიდოდა, რომ იმ დღეს კეთილი საქმე არ ექმნა იმ დღეს დაკარგულათა სთვლიდა და მე თუ ყოველ დღეს ბოროტება არა ვქენი გული არ დამიდგება, ქუეყანაზედ ყოველივე ტყუილი არს მალის მეტი, მე მალა მწამს და იმას თაყვანსა ვსცემ.

---

## კიდევ ფრანჩესკო ჩენჩი.

### თავი V.

მე კიდევ ცოტა ვსთქვი ბოროტებაზედ ფრანჩესკო ჩენჩისა, ყოველი ბოროტება, რაიცა ქუეყანაზედ იქნების მისსა გვამში სცხოვრებდა, სული მისი იყო უმყრალესი მკვდრისა გვამისა, აყროლებულს ზაფხულის დღესა კუბოში, ფრანჩესკომ გაიძმობილა ბოროტება და უთხრა მას: იყავ ძმობილად ჩემდა, რათა ერთათ ვიშრომოთ. ღმერთი არ სწამდა, თუმცა მისი დიდება ლუ-

რსმანივითა ჰქონდა დასობილი გულზედ, იყო ბოროტი და ბოროტის სიკჳდილით ჩაკჳდება შემდეგ.

---

## ბეატრიჩე.

### თავი VI.

ბეატრიჩე თხუთმეტის წლის ქალი, იყო ქალიშჳლი ფრანჩესკოსი. სახე მისი იყო უმჯობეს ყვავილისა და თითონ ემსგავსებოდა ზეციერ ადამიანსა, და არა ქვეყნიერსა, თუალნი მისნი ხშირათ უმზერდნენ ცასა, ხედვიდა რა ისა თავისს სამშობლოსა ზეციურს, სადაც უნდა წასულს მტერსა თჳსსა. საკმაოდ იყო მისთჳსა გამოცხადება სადამე შეკრებულობაში, ანუ ბალში, ანუ ვეჩერებში, გულნი ახალ გაზდა ვაჟებისა, მისთა ხედვითა განივსებოდნენ სიხარულობითა; თუალნი მისნი, ანათებდნენ უმჯობეს ბროლის ჩირაღდანებისა, და სიტყუანი მისნი იყვნენ უმჯობეს საამოვნო მუზიკისა, რომელიც, ბალში იკვრებოდა.—და წავიდოდა რა ბეატრიჩე ბალითგან, ყოველთა ახალგაზდათა, დაურჩებოდათ პირნი დაღებულ და დაეცემოდა მათზედა განუზომელნი ჯავრნი და მოწყენა.—

ბეატრიჩე იჯდა კიბეზედ სასახლისა მამისა თჳსისა, და ის კიბე გამოდიოდა სასახლიდამ პირ და პირ ბაღში, მუხლზედ ბეატრიჩეს უჯდა მცირე წლოვანი ყმაწ-

ვილი ხუთის წლისა, რომელიც ერთის შეხედვით, თუ̂ალითა და თმითა, ემსგავსებოდა თავის დას, რომელსაც უჯდა კალთასედ. ბეატრიჩე ეალერსებოდა ძმასა და ხშირად ჰკოცნიდა შუბლზედ მას. ყმარწვილმა მიადვა თავი თჳსი დასა გულზედა და შეაცქერდება დასა განუზომელის ფიქრითა.

—რასა ჰფიქრობ საყვარელო ძმაო ვირგილი, ეტყოდა მოწყენით საწყალი ბეატრიჩე.

—მე ვფიქრობ იმასა, რათა უმჯობეს იქმნებოდა ჩუ̂ჱნთჳსა, რომ არ გავჩენილვიყავით ქუ̂ჱყანაზედა.

—ახ! ვირგილი რას ანბობ მაგასა!:.

—და როგორც ამას არა კაეწყობა რა, უმჯობესი იქმნება, რაჲა მივატოვებდეთ იმასა.

—მივატოვოთ! რისთჳს?

—მაშ რისთჳს დავრჩეთ? ჩემი გული აი აქა შიგნით მკუ̂დარი არს მე ამასა ვგრძნობ, და თუ გული მოკუ̂დება, მაშინ კაცი ძნელათ იცოცხლებს.

შენ ჩემო ძვ.ირფასო—მაშ ვირგილი რას მელაპარაკები, ჯერეთ ქუ̂ჱყანა არ გინახავს და ამ გვარ გულის დასაწვავს სიტყვებს ანბობ, ეს კარგი არ არის,— იცოცხლე, და იმხიარულე, შენ არ იცი კიდევ რა მშუ̂ჱნიერს ვარდებს გ.ამზადებს საწინაოთ შენი ბედი.

—ოხ!!! ვარდი? ბედი? არა დაო ბეატრიჩე, სიკუ̂დილი მიმზადებს მე ვარდებსა ჩემის კუბოსათჳს, ჩემმა ბედმა მაშინ მიმატოვა მე, როდესაც ჩემი საყვარელი დედა მომიკუ̂და და მიმატოვა მე.

—მაგრამ, ჩემო ვირგილი, ჩუჱნ არ შეგვიძლიან, რამ ვსთქუათ მრთლად ობოლნი ვიყოთ, განა კეთილი გულისა დედის ნაცვალი ჩუჱნი ლუკრეცია, ჩუჱნი დედა არ არის? ჲ ისრე არ უყვარვართ, როგორც დედასა?

—მართალსა ბრძანებ, მაგრამ ის ჩემი დედა არ არის.

—კარგი მაშ, მე შენი არა ვარ? განა მე შენ არ მიყვარხარ? კიდევ ჩემი მეტი ძმა ჲ მამა ჩუჱნი არ არის.

—რომელი მამა?

ბეატრიჩე ამ კითხვით ვირგილის, დაეღრიჯებოდა ჲ უჭკოთ გაშტერდებოდა, შემდეგ დაბალის ენით აღმოსთქუამდა:

—განა ფრანჩესკო შენი ჲ ჩემი მამა არ არის?

ყმაწვილი ჩამოხრიდა თავსა, დაიკრეფდა გულზედ ჴელებსა ჲ მაგრის სიტყვით ეტყოდა:

—დაო! შემომხედე მე კარგათ შუბლზედ იმა ადგილსა სადაც დაიწყება თმანი; ჰხედავ იქ ნატკენს ნიშანსა? ჰხედავ? იცი ვინ დამკოდა მე? მე შენთჳს არ გამიხილვია ჯერეთა, მაგრამ რადგანაც ვგრძნობ, რომ მალე მოვკვდები, ამისათჳს გიტყდები: დიდ ხანს მე ამას ვფიქრობდი: რისთჳს მამა ჩემს, ფრანჩესკო ჩენჩსა არ უყვარვარ მე? ჲ ტკბილათ არ მექცევა მე? მე ვგრძნობდი, რომ ამ გვარი უკმაყოფილება მამისა არ დამიმსახურებია. ჲ ერთხელ გამოვედი მოთმინებისაგან ჲ შევკრიბე ჩემნი გაბედულებანი ჲ დავარდი ფერხთა მამის საკოცნად ჴელისა მისისა.—ის როგორ დამიყვირებს:

—«დაიკარგე აქედამ, შენ ჩემი შვილი არა ხარ».— და ისრე მაგრათ მამარტყა გულშა ჴელი, რომ მე უკუ-ღმა წაველი და შკაფის კიდეს, რომელიც იმას უდგას კაბინეტში, შუბლი მივკარი, სადაც გამიტყდა შუბლი, და დავეცი უგრძნოთ სისხლში, მამა მიცქეროდა მე და არ მოვიდა საშველებლად ჩემდა.—აი რა სახით დამემართა მე ეს ნიშანი დაკოდილობისა და მიზეზი ავათ მყოფო-ფობისა ჩემისა; რომლისა გამო, მოახლოვებულ არს დღენი სიკჳდილისა ჩემისა.—

ბეატრიჩე ისმენდა რა სიტყვებსა მმისა, თრთოლავდა, როგორც ვერცხლის ფურცელი, და არა ძალს იყო აღ-მოთქმას ერთის სიტყვისა, ყმაწვილი გახურებული თა-ვისი ბაასობითა გარდიწევდა სახელსა და აჩვენებდა დასა თავის გათავებულ და ძვლიან ჴელსა:

—შეხედე დაო! მიუთხრა საწყალმა ვირგილიმ, შე-ხედე კლავსა ამა ნატკივნსა, იცი ვინ მიყო ესა? ნერ-ონმა, აი მოისმინე რა სახით იყო ესა: ერთხელ რო-გორცღა მოვგლიჯე ბაღში მშჳენიერი ატამი და ვკი-თხე ჩემს თავსა: მოდი ამ ატამს მივართმევ მამასა, ეგ-ების იამოს, და ამ აზრით წაველი, შევაღე კარი კაბი-ნეტისა, და შევხედე, რომ მამა ჰკითხულებდა წიგნსა და რომ არ გავაჯავრო მამა, ცერებით მივახლოვდი მას-თან და ამ დროს უეცრად მომვარდება ნერონი ძაღლი მამი-ჩემისა და მიკმენს მწარეთ მაჯაზედ, მე გული წა-მივა სიმწარის გამო და მამაჲ ჩემი იცინოდა.—და თუ-მც მარციო არ მომშველებოდა მე ძაღლი დამგლეჯდა

უწყალოთ; აი კიდევ დაო რა გიამბო მე შენა: ჰხედამ ჩემს თავსა, ერთი მუჭა თმა, რომ ამოგლეჯილი არის, იცი ვინ მიყო ესა? მამამ, მის შემდეგ, შუბლი რომ გამიტუდა შკაფისაგან, შეხვეულის შუბლით კიდევ მივე-დი მწუხარეს გულითა მამასთან და მოვახსენე მამასა: «ჩემო მამა რა გაწყენინე მე თქუენა? რითჳს ვარ მო-ძულებული თქუენგანა? დამლოცეთ მამა ღუთის გული-სათჳს; დალოცეთ შჳლი, რომელსაც წმინდა გულით უყვარხართ თქუენა».— იმან დაიხვია თმანი ჩემნი თი-თებზედა და მითხრა ამ სიტყვებით:— შენ რომ გქონე-ბოდა თავი გოგირდისა და სიტყვა ცეცხლისა, მაშინ დაგლოცავდი, რათა დამწვარიყავი შენა, წადი ჩემგანა მაცდურო, მე მძულხარ შენა და ამისათჳს მეც ვიყო შე-მძულებული შენგანა, რათ მინდა მე შენი სიყვარული მაღლის ლეკვო».— და ამასთანავე ისრეთ მომწვდა თმა-ში, რომ მე მეგონა მრთელი ტყავი ამძვრა თქო თავ-ითგან, ერთი მუჭა თმა შერჩებოდა იმას ჴელში, და ჩე-მის შებრალების მაგიერად, ისრეთი წარბნი შეჭყარა, ვითომც იმას ეტკინა თითნი და არა მე თავი». მე გ-წყევლი შენა, მიყვიროდა მამა ჩემი, და შენს შჳლებსა, თუ როდისმე გეყოლება, რათა თქუენ სცხოვრებდეთ სიგლახაკეში, რათა თქუენ შეიქმნეთ კაცის მკვლელი და ბოლოს მოკუდეთ ჩამოხრჩობითა»!..— ესლა მიიღე აზრში ესენი დაო ბეატრიჩე, შემიძლია მე კიდევ ვის-ურვო სიცოცხლე? დედამან მიმატოვა, მამამან დამწყევ-ლა, მაშ უმჯობესი არ იქნება ჩემთჳს სიკუდილი? გა-

ნა მართალს არ ვამბობ დაო? და ყმაწვილი ჩამოჰყრი-და ამ სიტყვებითა მდუღარე ცრემლებსა.

საწყალს ბეატრიჩეს გულში გაუჩნდებოდა ცეცხლის ალი, შუბლი მისი აღიმსებოდა ოფლითა და მოწვეთა-მდა, როგორც ცრემლი, ამოიქვნეშიდა რა მწუხარე გუ-ლითა, კიდევ სცდილობდა მიცემად ნუგეშისა ვირგი-ლის და ეტყოდა მას ნაზის სიტყვებითა:

—დამშჳდდი ძმაო ვირგილი, ეგების აღირჩიე უდ-როვო დრო და ამისათჳს გასწყრა მამაჲ ჩუენი....

—არა, დაო, მე კარგი დრო აღვირჩიე, მამა-ჩუენი იყო სრულიად დამშვიდებული.

—ეგები ის იყო გულ მოსული, რაიმე საიდუმლო საქმითა.

—არა ის იყო სრულიად მხიარული... როდესაც ძაღლმა მიკბინა მე, მაშინ მამამან ჩემმან თმაში და-უწყო იმ ძაღლსა, იმ ძაღლსა, რომელმანცა ცოტა დააკლდა, რომ კინაღამ დაუგლიჯა შჳლი თჳსი.—მე ამას იქით აღარ მიყუარს მამა ჩემი. იცი დაო! მე რომ მამას შავხედამ სისხლი ამიდუღდება ძარღვებში, და იმი-სი ხმისაგან მე თავი ამტკივდება.

ბეატრიჩე ამ სიტყვებით გამოიცვლებოდა სახესხვად, გული მისი შევიწროვდებოდა და თუალთა აახურდა ცა-ზედა, სურდა თქმაჲ სიტყვისა, მაგრამ არა ძალს ეძლო თქმაჲ მისი და სიტყვის მაგიერათ ამოიქვნეშიდა და შე-მდეგ რამოდენიმე დროებისა ეტყოდა ძმასა სიყუარუ-ლობითა:

—ნუ მოვიძულებთ ძმაო თავსა და ვილოცოთ უფა-ლი, რათა მამასა ჩუჱნსა ექმნეს კეთილი გული ჩუჱ-ნზედა.

—ოხ! დაო ბეატრიჩე, შენ ჰგონებ, რომ მე არ მი-ლოცავს ამაზედ უფალი? კიდევ, როგორ არ მილოცამს, ძლიერ ხშირად.... იმ დღესა, როდესაც თავი გამიტყდა, საღამოზედ, როდესაც ყოველთა დაეძინათ და აგრეთვე მამასაც, ავდექი ჩუმათა ქვეშაგებიდგან და წაველ დაბლა ჩუჱნს სალოცავში ფეხშიშველა და მოვიდრიკენ მუხლნი ჩემნი წინაშე წმინდისა ნაბილებისა, და შევსთხოვე რათა სული, მამისა ჩუჱნისა კეთილ ყოფილიყო ჩუჱნზედა და ვყვარებოდით ჩუჱნა, როგორც ჩუჱნ ის გვიყვარდა, მაგრამ აი დაო რა სახით არის შესმენილნი ლოცვანი ჩემნი!....

შეჩერდა რა ერთი მინუტი კიდევ დაიწყო:

—მაგრამ მეორე ლოცვაჲ ჩემი ღმერთმან მიიღო, მეორე ღამეს წაველი და დავარდი მუხლ მოდრეკით წი-ნაშე იესო ჯვარცმულისა და შევსთხოვე: «შემიბრალე მე ჯვარცმულო იესო ქრისტე და მომეც მე სიყუარული მამისა ჩემისა და ანუ წამიყვანე შენთან შჯდომით.»—და იესომ ვითომც თავი დაღუნა, რასა ნიშნამდა აღსრუ-ლებასა ლოცვისა ჩემისა. და ვითომცა ჰასუხ მაგო მე, «შენი ლოცვა შესმენილ არს»....

—ღმერთმან შეგვისმინა ჩუჱნ და კეთილ ჰქმნა გუ-ლი მამისა ჩუჱნისა, მიუგო სიხარულითა ბეატრიჩემ.

—არა დაო, მეორე ლოცვა ჩემი შესმენილ არს და

არა პირველი მე ვიცი, ამისათჳს, რომ მე რომ მოვ-ბრუნდი მეორე ლოცვისაგან და დავწექ დასაძინებლათ: მე ნამდვილად გავიგონე ხმა, რომელიც მიძახდა მე: «ვირგილი! ვირგილი!»—გავიგონე რა ესა ავდექ განვა-ღე კარი, მაგრამ ვერავინა ვნახე, რა კელ მეორეთ და-ვწექ და ხმამან მან კელ მეორეთ დამიწყო ძახილი,— «ვირგილი! ვირგილი!»—გავიგონე რა მეორეთა პასუხ ვაგევ: «ვინ მიძახის მე» და ხმამან თავის მხრითა პასუხ მაგო: «მე გიძახი შენ სამოთხისგანა».—«მე მზათ ვარ უფალო»—ხმამან მცა პასუხი: «არა ჯერეთ შენი საათი არ მოსულა, მაგრამ მოახლოებულ არს».—

—-არა ძმაო, ეს მოჩვენება არს, ეს სიცხისაგან შე-სდგება, გეყოფა ძმაო ნუღარ მიეცემი მწუხარებასა მე მსურს გიმზერდე შენა მხიარულსა.—

—რისთჳს დაო შენ ამას არქჳამ მოჩვეჩებასა, განა არ წაგიკითხამს საღმრთო წერილი: სამუილს რომ ესმა ხმა უფლისა? კიდევ წუხელის, როდესაც არ მეძინა და თჳალნი ჩემნი ახილულნი იყვნენ, ჩემი ოთახი უცფვათ აღიმსო სინათლითა და თან შემოვიდა მშჳენიერი ქა-ლი, ჩაცმული ტრედის ფერ ტანისამოსში, შემკობილ ქვებითა ძვირფასითა, და მშჳენიერ მოწვეულითა და მო-ვიდოდა ჩემს საწოლ კრავოტთან, დაღუნამდა თავსა და ამბორს მყოვდა შუბლზედა, რაისა შემდეგ განქრებოდა. ტუჩნი მისნი იყვნენ უცივესნი ყინვის, შუქისა, რომე-ლისა გაცივებულ შევიქენ; გნებავ დაო იცოდე ვისა ჰგვა-ნდა ის ქალი? ჩჳენის დედის პატრეთსა, რომელიცა

ჰკიდია დიდს სასტუმროში; მე ის მეუბნებოდა სიკჳდი-ლზედ და განა მეც ვერ ვგრძნობ ჩემს სიკჳდილსა, სა-ნთელსავით რომ ვდნები?....

ამ დროს მოფრინდება ჩიტი და დაჯდება იმათ სი-ახლოვეს დაბლათ კიბესთან, და შეატყობს რა ჩიტი, რომ ისინი მას არ ერჩიან დაიწყებს გალობასა და შე-მდეგ გაფრინდება.

—ახ! მეც რომ შემეძლოს გაფრენა ამ ჩიტსავით! სთქჳა საწყალმა ვირგილიმ, იმ ჩიტმა ვგონებ იცის თავის დედ-მამა, და დედა მისი ვგონებ ბუდეთგან ულო-დინებს, თავის შვლს მისვლასა. ოხ! ჩემო დედა! ერთი მითხარი ჩემო ბეატრიჩე სად არის ეხლა ჩჳენი დედა?...

—ჩჳენი დედა? ჩჳენი დედა იქ არის სამოთხეში.

—ეგ მეც ვიცი, რომ სული მისი იქ არის სამო-თხეში წმინდებთან, მაგრამ მსურს რომ ვიცოდე სად არის დამარხული დედაჲ ჩჳენი. შეგიძლიან ბეატრიჩე, მაჩვენო საფლავი მისი?

ბეატრიჩესა ჰსურდა როგორმე გამოეცვალა ესე გულ-საწვავი ბაასობა და აღასრულებდა სურვილსა ვირგილის და დააჯდენდა მას კიბის რიკულისა ზევით და თვითონ გარდახრიდა კელსა დაბლისკენ და ეტყოდა მმასა:

—აი ვირგილი იქა შორს ამა გორებისა გარდაღმა არის ადგილი, რომელიც მზითვათ ერგო დედა-ჩჳენს და იმ ადგილში სდგას საყდარი წმინდა პეტრე-პავლო-ბისა და იმ საყდარში მარმარილოს კუბოში შესავალ-თან მარჯვენით სდევს სხეული მვიროფასის დედის ჩჳე-

ნისა.—და როდესაც აჩვენებდა ბეატრიჩე ძმასა იმ ადგილსა, ამ დროს გარდახრილობისა გამო გამოუვარდებოდა უბიდგან მედალიონი და ბარათი, რომელნიც ჰქონდნენ გულზედ დადებულნი და ჩავარდებოდნენ ბაღში კიბითგან.

—ღმერთო ჩემო! ჩემი საიდუმლო. დაიყვირებდა ახალ გაზდა თხუთმეტის წლის ქალი ბეატრიჩე და გაწითლდებოდა, როგორც მაისის ვარდი სირცხვილისა გამო.

ამ დროს ფრანჩესკო ჩენჩი მამა მათი დამალულიყო ბაღში დაფნის ბესედკაში და უმზერდა შჳლებსა, რათა მზათ იყო მოწამლად შჳლებისა მზერითა თჳსითა. და როგორც რომ შესედა ფრანჩესკომ მედალიონსა და ბარათსა, იმ წამსვე გამოიქცევა ბესეტკიდამ ასაღებად მათთა, მაგრამ მას რომ სურდა ისრე მსწრაფლად ვერ მოასწრებდა, რადგანაც ერთი ფეხი კოჭლი ჰქონდა და კიდევაც სტკივოდა, ბეატრიჩე შეხედავდა რა მამასა დაიყვირებდა გამწარებული.

—ვაიმე! საიდუმლო ჩემი! საიდუმლო ჩემი... სიცოცხლეს მივსცემ ჩემსასა ვინც რომ იმათ მოგვგვრის და მამას არ აჩვენებს.

უმაწვილი, რომელიც იჯდა რიკულზედ თავის დასთან, შეხედავდა რა დასა ფერ ნაკლულსა შიშისა გამო, გაბედავდა ჩაშვებად რიკილიდამ ბაღში, რადგანაც, კარი კიბესი ბაღში შესავალათ დაკლეტილიყო, ვირგილი, როდესაც ელვა მსწრაფლ მივარდებოდა მოჰ-

კიდებდა ჴელს მედალიონსა და ბარათსა, და გამოიქცევოდა დისკენა.

—მოდი აქა, დაუყვირებდა გაჯავრებული მამა, მომიტა აქა ეგ ნივთები.

ვირგილის, ვითომც არ ესმის სიტყვანი მამისა, გამოიქცევოდა სახლისაკენ და მამა მისი დაუწყებდა ყვირილსა.

—დაწყევლილო ეშმაკო! მომიტა აქა წიგნი ჩქარა და თუმც მოგეწიე ამოგხდი შიგნითა გულსა ჩემის საკუთარის ჴელითა.

ბავშჳ მირბოდა სახლისკენ, როგორც ელვა, ფრანჩესკო გამწყრალი და გულ მოსული დაუძახებდა თავის მაღლსა:

—ნერონ! აქ მოდი ნერონ. დამიჭი ისა და ორნივე ჴელებით ახლებდა და მიაფრენდა მაღლსა თავის შჳლზედა, რომელიც მირბოდა გამწარებული.

გახელებული მაღლი გამოენთებოდა ბაშვსა, ვირგილი, იგრძნობდა რა მაღლისა მოახლოვებასა, ვითომც ფრთები გამოებმებოდა და შეხტებოდა კიბეზედ და მისცემდა რა დასა ბარათსა და მედალიონსა იქვე დავარდებოდა დაღალული და შეშინებული უსულ-გულოთა.

ამ დროს მოვარდებოდა გახელებული მაღლი დასაგლეჯათ ვირგილისა, ბეატრიჩე გაიხედ-გამოიხედამდა საპოვნელად რაიმე რკინეულობისა, დასამცველათ ძმისა თჳსისა მაღლისაგან და ჰპოვებდა მჭრელს ჴრმალსა ჩამოკიდებულს კედელზედ ბალკონისასა, და დასდგებოდა

მმისა და მაღლის შუა. მაღლი მოვარდებოდა რა საკბე-ნად—დავარდნილ ბავშვისათჳს, ბეატრიჩე დასცემდა გუ-ლში კრმალსა, სადაცა მაღლი დაიბღავლიდა სიმწარი-თა და გაცივდებოდა იმ წამსვე როგორც ყინვა.

მოარჩინა რა მმაი თჳსი მაღლისგან, ბეატრიჩესა დაეცემოდა განუსომელი შიში, მოიხედვიდა რა უკანვე ბეატრიჩე შეხედამდა თავის მამასა მომავალსა ხანჯლი-თა მოსაკლავათ ვირგილისა და მიახლოვდებოდა რა ფრა-ნჩესკო ვირგილისთანა არ ეძლო თქმად სიტყვისა გულ-მოსულობისა და სიავისა გამო.

სად არს მაჩვენე შხამიანი გველი მმაი შენი! მოი-ხედამდა რა უკანა ნახვიდა მაღლსა მოკლულსა, დას-წყევლე ღმერთო ეშმაკი, ვინ გაბედა მოკჳლა მაღლისა ჩემისა.

—მე! მიუგო უმანკო ბეატრიჩემ.

—კარგი, მე და შენ გავსწორდებით მერმეთ ამისათ-ჳს, მაგრამ ჯერეთ მომეც მე გველისა თავი, რათა და-ვმმუშო ისა, რამეთუ არა მიიღო მან აზრში ბრძანება ჩემი.

და გარდიწეოდა კანჯლითა ვირგილისკენ დასაკლავათ შჳლისა. ბეატრიჩე მიუშვერდა მამასა სისხლიან კრმა-ლსა და შეაცქერდებოდა მას გამოუთქმელითა აზრითა და დასდგებოდა მმისა და მამის შუა, მარცხენა ჴელით მო-ჭკიდებდა მამასა გულში ჴელსა და მარჯჳენა ჴელში ეჭირა მას კრმალი და ეტყოდა მამასა:

—მამავ!... ჴელი აიღევ ჩემს მმაზედ!...

—წადი ჩემგან გარყვნილო გეუბნები მე შენა, უყვიროდა მამა ბეატრიჩესა და ცდილობდა მისვლად დაწოლილ ბაშვთანა.

ბეატრიჩე გამოუთქმელის მშჳდობიანობით ეტყოდა მამასა:

—მამავ!... ჴელი აიღევ ჩემს ძმაზედ!

და ამ უკანასკნელს ხმაზედ, რომელსაც გამოსთქვამდა ბეატრიჩე შეხვეწნითა და გაწყრომითა, ფრანჩესკო ჩენჩი გაჩერდებოდა და დაუწყებდა მზერასა თვალებში თავის ქალის შჳლსა.

—სად გაქრა ამ დროს ნაზის პირის სახე ბეატრიჩესი? ფართეთა გაღებულნი თუალნი მისნი, ნათობდნენ როგორცა ელვა, ტუჩნი მისნი ჭრთოლებდნენ როგორც ვერხვისა ფურცელნი, გული მისი ხან იჭმუხნებოდა და ხან განიშლებოდა; გაშლილნი შოლტებივით ნაწნავნი თმანი მისნი გარდამოეფინებოდა ბეჭებზედა, ერთი ფეხი მისი იყო გამოწეულ წინეთა და მთელი ტანი მისი იყო გარდაფერდებულ უკანითვე, მარცხენა ჴელით ეჭირა მამა თჳსი და მარჯვენა ჴელი მისი იყო გაკავებული კრმლითა, რომელიც იყო გაშვერილი მამისკენ, და რომელსაც ეტყობოდა დასცემდა თავსა მამასა.

მდგომარეობა იმ მინუტში ბეატრიჩესი იყო გამოუთქმელი და ვერც მხატვარნი და ვერც ცოცხლათ მხატვარნი ვერ იყვნენ შემძლებულ გარდაღებად სილამაზისა სიმშჳენიერისა იმ ჟამად ბეატრიჩესი და ვერც ენასა ძალუძს გამოთქმა სიმშჳენიერობისა მისისა იმ ხანად.

ფრანჩესკო გაშტერდებოდა შეხედულობითა თჳსის ქალიშჳლისა და სიხარულით უმზერდა თვალებში ბეატრიჩესა, ცოტა ხანს უკან ჴელნი ფრანჩესკოსი, რომელნიც იყვნენ გამზადებულნი მოსაკვლელად ვირგილისა, ჩამოიშვებოდნენ და გაავდებდნენ ჴანჯალსა, და გული ფრანჩესკოსი გამხნევდებოდა, ბეატრიჩე თავის მხრითა გააგდებდა მახვილსა ჴერმოთი და მოხუცებული მამა მისი გაუწოდებდა ჴელთა თჳსთა ბეატრიჩესა და ნაზის სიტყვებით ეტყოდა:

ახ! რა მშჳენიერი ხარ ჩემო შჳლო!... და რისთჳს არ გიყვარვარ მე შენა.

—მე? მე როგორ არ მიყვარხარ მამავ?.. და ბეატრიჩე მოეხვეოდა მამასა თჳსსა კისერზედ. მამა და შჳლი ჩაეკვრებოდნენ ერთმანეთსა.

ვჲ!!! მაგრამ კარგნი აზრნი მამობრივის სიყვარულობისა განუგრძელდებოდა თავში იმ უბედურს ბეატრიჩეს იმ ჟამად, ისრეთ მოკლეთ, როგორც გაგრძელდება სინათლე ელვისა და კეთილი აზრი მისი მამობრივის ჩახუტების გარდიცვლებოდა აზრითა სავსე ბოროტებითა და მრუშებითა, და კეთილი საქმე ისრე ეზარებოდა იმასა, როგორც წმინდა კაცს ბოროტი. იმ ჩახუტების ჟამად თავი მისი აღივსებოდა საძაგელის აზრებითა, და მამობრივის სიყუარული ფრანჩესკოსი გარდიცვლებოდა ბიწიან სიყვარულებითა. თვალნი მისნი შეიწროვდებოდნენ და გული მისი აიმსებოდა მყრალითა სულნელობითა.—ფრანჩესკო დაუწყებდა ბეატრიჩეს თმაზედ ჴელის

სმასა, დაუწყებდა ჴელის კიდვასა კისერზედ და დაუწყე-
ბდა კოცნასა გარყვნილის სიყვარულობითა თავის ქალის-
შჳლსა; მერმეთ გარდახრიდა თავის თავსა და მიადებდა
ყურზედ ბეატრიჩეს და ეტყოდა ჩუმათ რაღაცას.............

ბეატრიჩე იგრძნობს რა მამის გარყვნილობასა ჰკრა-
მს გულზედ ჴელს მამასა და განითავისუფლებს თავსა
თჳსსა ბიწიან სიყვარულობისაგან. მოიშორებს რა თა-
ვიდგან ყვითელს სახესა მამისას, აიყვანს ფიცხლათა
მდებარე ძმასა ვირგილის, და მოშორდება, რა გარყვნი-
ლს ბებერსა შემოხედავდა მას გამოუთქმელ შეხედულო-
ბითა; ფრანჩესკომ, რომელსაც არ ეშინოდა არც ღმერ-
თისა და არც კაცისა. აზრშიაც არ მიიღო შეხედულობა
თავის ქალი-შჳლისა და სისხლი მისი გაცივდებოდა
მისსა ძარღვებში როგორც ყინვა.

მოცილდებოდა რა ბეატრიჩე, ფრანჩესკო დიდხანს
იქნებოდა გაშტერებული იმა ადგილზედ; რა აზრი ჰქო-
ნდა იმას იმ ჟამად? რა სურვილი სცხოვრებდა მისსა
აეროლებულს გულში იმ ჟამად? რასა ჰფიქრობდა მა-
შინ ის ულმრთო ბებერი ვინ იცის?. მე ვგონებ თით-
ონ ეშმაკი შეაფურთხებდა იმ დროს იმასა თვალებში,—
გულ მოსრული ფრანჩესკო მიირტყამდა მუშტსა შუ-
ბლში და იტყოდა:

—«და როგორ ეს ასრე არ არის? მე! რომელიც მზათ
ვიყავ ბრძანებად მზისათჳსა გაჩერება, რომელიც თუ ჩე-
მი ნება არ იყო ვერ გაბედამდა შემოკრებასა ქუეყნი-
სა? მე იმ გვარმა კაცმა მივეც ნება ბალონასა, რომელ-

მანაცა აგრე შემომხედა მე! მომიცა მე შენა ავო ბეატრიჩე! ყოველივე ამდენ ხანს იღუნებოდა ჩემის რკინის ჴელ ქვეშა და შენც მოიღუნვი და მოვა დრო, როდესაც შენ დაიფხვნევი ჩემის ჴელიდამ ჰარაშოკებათა და გული შენი ამოიღების შესაჭმელათ მაღლებისა. მომითმინე მე შენა.» —

---

(ზოგი მერე იქნება.)

გრიგოლ ასათიანი.

# სხვა რიგი სიყვარული

(ვოდევილი ერთს მოქმედებად)

(მიბ.)

(კატო ახალგაზდა ქვრივი ქალი ზის და სადილს მიირთმევს, ფარდის აწევის შემდეგ შემოდის სანდრო ახალ-გაზდა კოხტა ყმაწვილი კაცი.)

---

კატო. ქა ვის ვხედავ! სანდრო-ჯან თქჳენა ხართ?

სანდრო. მე გახლავარ შენი ჭირიმე, როგორ მშჳდობით ბძანდებით?

კატო. კარგათ გახლავართ; დაბძანდით, სადილი მიირთვით. (კერძს გადუდგამს). თითქოს ვგრძნობდი სანდრო თქჳენს მობძანებას, აი თქჳენი კერძიც.

სანდრო (საჭმელს იდგამს წინ და მიირთმევს.) კატო, როგორც გატყობთ თქჳენ ცოტათ გამხდარხართ. ეჰ თქჳენ დალოცვილო, თუმცა საუცხოვო ყმაწვილი კაცი გახლდათ თქჳენი ქმარი, მაგრამ წრეს გარდასული გულის წუხილიც, არ ვარგა.

კატო (ტირის). ნუღარ მამაგონებთ თქუენი ჭირიმეთ მე უბედურს. (ამოხვრით) ვაიმე!

სანდრო. ოჰ ჩინებული ყმაწვილი კაცი გახლდათ სწორეთ მოგახსენებთ.

კატო. ოჰ სანდროჯან, ისე არ შემოგხვედავ, რომ ჩემი უბედური ქმარი არ მომაგონდეს, ოჰ ნუ მიყურებ შენ გენაცვალოს კატო. ასე მგონია ჩემი ქმარი მაჭვრეტს მეთქი; შენმა სიცოცხლემ საშინლათ ჰგევხართ იმას. (ტირის).

სანდრო. (განგებ ცრემლებს იწმენდს მაგრამ არც ჭამას აკლებს). დიახ უცხო რამ ბრძანდებოდა. მოგახსენებენ რომ მითომც თქუენ ქმარს მალიანა ვგევარ.

კატო. ოჰ, ოჰ, ოჰ! საშინლად საშინლად! სანდროჯან, მაშ არ იცით, ასე უწყალოთ იმიტომ მიყვარხართ, რომ სწორეთ ჩემი მიცვალებული ქრმის სურათი ბრძანდებით. თუ გახსოვთ იმ უბედურსაც, დანა მარცხენა ჴელში ეჭირა და ჩანგალი მარჯუენაში. ვაი ჩემი ბრალი. (ტირის).

სანდრო. დიახ კატოჯან, თქუენ ქმარსაც ჩემ გვარად ეჭირა ხოლმე დანა-ჩანგალი. (განგებ ცრემლებს იწმენდს). ეჰ უბედური.

კატო. სანდროჯან აბა ერთი მიიხედეთ მარჯვნივ.

სანდრო. როგორა ბატონო, ასე? (მიიხედავს).

კატო. დიახ, დიახ ეგრე. ოჰ ღმერთო ჩემო რა საკჳრველებაა! თქუენი ჩანასკვილი წარბი, მშუენიერი ულვაში, ტანი, პირის მოყვანილობა, სულ ჩემი უბე-

დური ქრმისა გაქჳსთ. ოჰ ვერ წარმოიდგენთ სანდრო-ჯან რა რიგათ ჰგევხართ იმას, სწორეთ ჩემი ქმარის პორტრეთი ბრძანდებით (ტირის) მერმე არ იცით იმ უბედურის პირველი საყჳარელი საჭმელი რა გახლდათ?-- ფლავი. თქჳენ-კი არა სწყალობთ სანდრო ფლავს?

სანდრო. ოჰ რას მიბრძანებთ, საშინლათ მიყჳარს ფლავი. სამ-ოთხს დიდროვან მათლაბებს ვაცარიელებ ხოლმე, თქჳენმა სიცოცხლემ.

კატო. აკი მოგახსენებ რომ ყოვლის ფრით ჩემ ქმარს ჰგევხართ მეთქი (ტირის). აბა სანდრო-ჯან გაიცინეთ.

სანდრო. გავიცინო, ბატონი ხართ (იცინის უცნაურათ.)

კატო. ოჰ, ოჰ, ოჰ! სიცილიც ჩემს ქმარს მიგიგავთ. ასე გაშინჯეთ სეხნიებიც კი ბრძანდებით, თქჳენც სანდრო გქჯანთ იმ უბედურსაც. (ტირის) ვაი ჩჳენი ბრალი, სადღა არის ის გასახარელი!

სანდრო (განგებ ცრემლებს იწმენდს). დიახ სეხნიებიც გახლდით. ეჰ რაკი სიკჳდილი მოსასვლელია კაცის თავს, იმის აცდენა ყოვლად შეუძლებელია. კარგი ყმაწვილი კაცი ბრძანდებოდა, მაგრამ რა გაეწყობა ღჳთის განგებას.

კატო. ოჰ, ნუ იყურებით ჩემკენ, თქჳენი ჭირიმეთ. თქჳენმა სიცოცხლემ, რომ შემომხედამთ ხოლმე, ტანში ცახცახს მამაყოლებინებს. ასე მგონია ჩემი მიცვალებული ქმარი გამიცოცხლდა მეთქი. ოჰ არ დაიჯერებთ სანდრო-ჯან რა რიგათ მიყვარხართ.

სანდრო. თქუჱნმა მზემ კატო მეც ნაკლებათ არ მი-ყუარხართ.

კატო. გახსოვთ სანდროჯან, რა უცხო სანახავი იყო ჩემი საწყალი ქმარი. (სანდრო აცქერდება) ჴოო სწო-რეთ ეგრე თქუჱნსავით კაბის სახლები გადაგდებული ჴქონდა ხოლმე მხრებზედ, მხოლოდ ქამარი იმ საბრა-ლოს კაბაზედ-კი არა, ახალუხზედ ერტყა ხოლმე.

სანდრო. მაშ თუ გესიამოვნებათ, ქამარს ახალუხზედ შემოვირტყავ. (ირტყავს ახალუხზედ)

კატო. ჴო სწორეთ ეგრე ერტყა. საწყალი, მერმე რა ჩინებული გულის ჰატრონი იყო. რა ხმებს უმღერდი ხოლმე. ეჴ უბედური. (ტირის).

სანდრო. (განგებ ცრემლებს იწმენდს) თუ უკაცრავოთ არ გახლდები მოხსენებისათჳს, რა ხმა უფრო მოსწო-ნდა კატო თქუჱნ ქმარს?

კატო. აი რა ხმას უმღერდი ხოლმე იმ უბედურს. (მღერის: «ერთი საყუარელი მეყუანდა», დ გათავების დროს ტირის).

სანდრო (განგებ ცრემლებს იწმენდს). კაი მოსაწონი სიმღერა გახლავსთ თქუჱნმა მზემ.

კატო. ოჴ ოჴ ოჴ უკეთეს ვერას წარმოიდგენდით სანდროჯან, როგორც ის ჩემი უბედური ქმარი უვლი-და ხოლმე ქართულს. მოითმინეთ ეხლა-კი გაჩუჱნებთ იმის თამაშობას. (გოგო,) მოახლე შემოდის. შენ გარ-დას წადი საჩქაროდ შემოიტანე დაირა, დ დაუკარ და-ვლური. (გოგო გავა დ შემოიტანს დაირას) გოგო, აბა

დაუკარ, მხოლოდ მალიან ნუააჩქარებ. (მოახლე უკრამს). კატო და სანდრო ერთმანეთს პირ და პირ უდგებიან და უვლიან დავლურს; კატო გათავების დროს ტირის), თამაშობაშიაც მალიან ემგზავსებით ჩემს ქმარს, მხოლოდ მცირედის განსხვავებით.

სანდრო, (განგებ ცრემლებს იწმენდს) რაში გახლდათ განსხვაება თქუენი ჭირიმეთ.

კატო. აი რაში სანდროჯან: ჩემი საწყალი ქმარი თამაშობის შემდეგ ერთ უცნაურად თუალს მიზამდა და ოროლ კელებს დამიკოცნიდა ხოლმე; ისე რიგათ უხდებოდა იმ უბედურს რომ ვერ წარმოიდგენთ!

სანდრო. როგორა ბატონო! (ორივ კელებზედ აკოცებს და თუალს უზამს). ასე კატოჯან?

კატო. არა, ცოტა კიდევ შეგცდათ. ის მარჯუენას-კი არა, მარცხენა თუალს ჰხუჭავდა ხოლმე.

სანდრო. კატოჯან მაშ როგორ (კელზედ ჰკოცნის და მარცხენა თუალს ჰხუჭავს) ესე ხომ არა?

კატო. ჰოო სწორეთ ეგრე, თქუენი ჭირიმეთ რა რიგათ მიამგზავსა! ასე მეგონა თქუენმა სიცოცხლემ ჩემმა ქმარმა მიყო მეთქი თუალი. (ტირის).

სანდრო. (განგებ ცრემლებს იწმენდს). დიახ მეც მახსოვს, თქუენმა ქმარმაც ესე იცოდა ხოლმე თუალის ხუჭვა. ეჰ უბედური სადღა არის!

კატო. სანდროჯან, თქუენ მგონია ჩემი ქმარი მალიან გიყუარდათ. როგორც მახსოვს იმის მიცვალებაზედ იტირეთ კიდეც.

სანდრო. ოჰ ძალიან მიყვარდა თქვენმა მზემ. იმათ მიცვალების შემდეგ მწუხარებისგან, ასე გამინჯეთ რომ სამი ღამე ცრემლით გამითენებია.

კატო. ოჰ არ იცი ჩემო სანდრო რა უძვირფასესი რამა ხარ ჩემთჳსა! ნეტავი შემატყობინო მეც გიყვარვარ? სწორეთა სთქჳ

სანდრო. რას მიბრძანებთ კატოჯან, თქვენმა სიცოცხლემ თქვენი ისეთი სიყვარული მაქვს რომ ვერ წარმოიდგენთ.

კატო. მაშ თუ ასე ერთმანეთი გვიყვარს, რაღას უყურებთ, მოდი ჯვარი დავიწეროთ.

(სანდროს წასქდება სიცილი). საშინლად მეცინება.

კატო. რას იცინით სანდრო?

სანდრო. არა ფერი, ერთი სასაცილო ამბავი მომაგონდა დ̃ იმაზედ გამეცინა.

კატო. ჰო იმას გეუბნებოდით ჩემო სანდრო, რადგანაც ასე წრფელის გულით გვიყვარს ერთმანეთი,—მოდი ამ კვირია ჯვარი დავიწეროთ.

სანდრო. (იცინის) რა გამოუცდელი ქალია ეს საბრალო.

კატო. რა ვქმნა რას გეცინებათ?

სანდრო. სულ ერთი საგანი მაგონდება თქვენმა მზემ დ̃ იმაზედ ვიცინი.

კატო. მითხარი სანდროჯან თანა ხმა ხარ?

სანდრო (იცინის, პუბლიკას). ახლა რა უპასუხო?

კატო. რა ვქმნა რაზედ იცინით? თუ არ გიყვარვარ

ისა სთქჳ?

სანდრო. არა თქუენმა მზემ ძალიან მიყუარხართ კატო, მაგრამ სწორეთ უნდა მოგახსენოთ, ჩემს სიცოცხლეში ცოლის შერთვას არ ვაპირებ, თორემ თქუენზედ უკეთეს ვის შევირთავდი.

კატო. ჰო, კიდეც მაგაზედ გეცინებოდათ. თქუენ დალოცვილო ცოტა ადრე გამომიცხადებდით მაგას რომ თქუენ ჩემი სიყუარული არა გქონიათ, არ გაგაკადნიერებდით მაინც კელზედ და პირზედ კოცნით.

სანდრო. ბატონო. მგონია ჯერ უკადრისობა არა მომიხდენიარა და თუ კელზედ გკოცნიდით, ისიც თქუენის ნებით.

კატო. დიახ გიცნობთ ესლანდელ ყმაწვილ კაცებს. ქალებთან დაბრძანდებით, უალერსებთ, ეხუმრებით, დროს ატარებინებთ, შეაქცევთ, ვითომც გიყვართ, და საქმე საქმეზედ რომ მივა, ჯვარის წერაზედ-კი უარს ამბობთ ხოლმე.

სანდრო. არა თქუენმა სიცოცხლემ, აკი მოგახსენებთ რომ მე თქუენ სხუა რიგად მიყუარხართ.

კატო. არა თქუენმა მზემ, არც გიყუარვართ და არც-არაფერი. სხუა რიგი სიყუარული რასა ჰქჳან? სიყუარული ერთ რიგია. არ გამიგონია ოც-ნაირი სიყუარული. მაშ რაკი ეგრეა, გთხოვთ რომ ამას იქით აღარ გვაბედნიეროთ ხოლმე მობრძანებით, აღარც მეკადნიეროთ.

სანდრო (იცინის). ბატონო, რაზედ მითხოვთ, ნუ ჯავრობთ, მეორეთ რომ გიახლებით მაშინ ამ საგანზედ

უფრო ვრცლად მოვილაპარაკებთ, ეხლა-კი ნახვამდისინ, (ჴელი უნდა ჩამოართოს, მაგრამ კატო არ აძლევს).

კატო. დაიკარგე შენ არ გასაშვებო!

სანდრო. (მალათ ჰკოცნის) ეხლა-კი მშჳდობით. (გადის).

კატო. უი მეხი-კი დაგაყარე მაგ სულელ თავში. მეც ვის დავადარე ჩემი ქმარი? აი გაუწყდეს სახელი! ის შეჩვენებული, თურმე აქ ცუდის გულით დაეთრეოდა! და რა ვიცი მოდით და ამას იქით თქჳენ ენდენით ეხლანდელ ყმაწვილებს? ან რა უგავს ჩემს ქმარს!...

ფარდა ჩამოეშვება.

(დასასრული.)

ვანო ბარათაშჳლი

---

## რედაქციისაგან განცხადება.

დაპირებული პოემა „ჭკუის გლახები" თ. ი. ბარათაშჳლისა ჩჳენდა სამწუხაროთ ვეღარ დაიბეჭდება „ცისკარში" სხჳა და სხჳა მიზეზით.—

# ტფილისის ამბავები

ახლანდელი ტფილისი და იმისი ქუჩები. მთავრობისაგან კეთილი მზრუნველობა; ჩუ̂ენის ჴ ე ლ მ წ ი ფ ი ს მობძანება ტფილისში; ძველი და ახალი დრო; თავადთ აზნაურების შეკრება და აღმორჩევის გათავება; გათოლიკეთ ეკკლესიის სამირკვლის კურთხვა თერთმეტს მაისს ამ წლისას და სხვა ამ საგანზედ.

ჩუ̂ენი ტფილისის ქალაქი პატარა პარიჟი შეიქნა, მე ამას მოგახსენებ ჩემო მკითხველო, შესახებ ქუჩების გამშუ̂ენიერებისა, სახლების ევროპიულ ჴელოვნებით გაკეთებისა; ახლა საითაც მიიხედო სამი და ოთხი ეტაჟა ჩინებული მაგაზიები, ღამით გაივლის კაცი, თითქოს ცეცხლი ეკიდებაო, ქუჩებში ნახავთ აქეთ და იქით ამწვანებულს ხეებს, ასე რომ მაღლითგან კაცმა გადმოიხედოს, იტყვის, მრთელი ქალაქი ბაღში აშენებულიაო. ამ ორისა თუ სამის წლის წინეთ, მთაწმინდის, სოლოლაკის და მახათის მთებზედაც დანერგეს ტყის ხეები იმ აზრით, რომ ზაფხულში ტფილისს სიგრილე ჰქონდეს, კარგი ჰავა და მრთელი ჰაერი; რას არა ზრუნავს

ჩუენი მრიელი მთავრობა ჩუენთჳს; ოღონდა ქუეყნის სასარგებლო და ჩუენი კეთილ მდგომარეობის სასარ-გებლო რამ იყოს, თორემ არა ფულის ხარჯს არ და-იშურებს. ღმერთმა გაუმარჯოს ახლანდელს დროსა, ჩუენის საქუეყნო მამის, ჩუენის ჴ ე ლ მ წ ი ფ ი ს შე-მწეობით მოცემულს დროსა: ჩუენი ჴელმწიფე წარმო-ვსთქვი ჩემო მკითხველო და უნდა ვთქვათ კიდეც, რო-გორც მეტყობილი აქუთ ყველასა, რომ ის მობძანდება ავგისტოს დამლევს. ნეტა ვინ იქნება იმისთანა, რომ არ უყვარდეს იმ საზოგადო მამის მოსვლა, იმ მამისა, რომელიცა მოუღალავად ფიქრობს ჩუენის კეთილ დღე-ობისათჳს, რომელსაცა შორითგან ვაღერსებით, თავს ვევლებით და ამ ახლო ხანში გვექნება ბედნიერება ვე-ღირსოთ მის ნახვას. ღმერთო შენ განამძლიერე ჩუენი საქუეყნო მამა, შენ აცოცხლე, შენ განამტკიცე, რომ ასე თავისუფლად, რომ ასე უზრუნველად დავიარებით იქ, სადაცა თუ არ თოფ-იარაღით ფეხის გადადგმა არ შეგვეძლო; რომ ასე აღყვავებულს მდგომარეობაშია ის ქალაქის კუთხე, საიდანაც გარეშემო მტრები ყმაწვილე-ბსა გვტაცებდნენ და ტყვედ მიჰყვანდათ;—იმ ალაგს ას-ლა მშუენიერი ევროპიული სახლებია, რომელიც სი-ზმრათაც ვერ წარმოუდგებოდათ ჩუენთა განსვენებულთა მამა-პაპათა; იმ ალაგს შკოლებია ყმაწვილებისათჳს, რომელნიცა იკრეფენ განათლების კეთილს ნაყოფსა, და რომელნიცა უმანკო, მტრედებრ ყმაწვილურის გულით ღმერთს ავედრებენ ამ კეთილ მდგომარეობის მომნიჭე-

ბელს ჩუენს საქუეყნოს მამასა, ჩუენს დიდს ⁊ ძლიერს ჴ ე ლ მ წ ი ფ ე ს ა.—

მთავრობა ხომ ასე ზრუნავს ხალხისათჳს, მაგრამ ჩუენდა საუბედუროდ არ გვესმის ჯერ აქამდინ თუ როგორ მოვიქცეთ, რომ იმის აზრს დაუახლოვდეს ჩუენი მეცადინეობა, ჩუენი მოქმედება, ჩუენა გვაქუს სასამართლოები, სადაცა განიხილვებიან საქმეები, ჩუენს ტფილისში არიან იმისთანა ადგილები, სადაცა გვაქუს საქმეები ⁊ სადაცა გადაწყდება ჩუენი ბედი ⁊ უბედურობა. რომ არ დავიჩაგრნეთ, რომ არ შევწუხდეთ, რომ უსამართლოება არ მოგვადგეს ⁊ არავინ შეგვავიწროოს, ჩუენმა მაღალ მთავრობამ, ეს მაღალ კეთილმობილური სულგრძელება გამოიჩინა ჩუენზედ, ის წყალობა მოგვცა, რომ ნება გუაქუს, ჩუენის მხრივ იყვნენ იმ ადგილებში დეპუტატები, სანდო პირები, ჩუენგნით ამორჩეულები, რომ ვინიცობაა რამ უსამართლოება მოგვადგეს, იმ ამორჩეულმა ილაპარაკოს იქა ⁊ დაიცვას ჩუენი კანონიერი უფლება, სჯულისაგან მონიჭებული. რა ბედნიერები ვიქნებოდით, რომ მოგვეხმარებინა ეს მონიჭებული დიდი წყალობა, თავის შესაგვარად.—ჩუენდა სამწუხაროდ შევიყრებით, ვლაპარაკობთ, ვსჯით, ვმოქმედებ, ბანკზედ ვლაპარაკობ, ანგარიშს ვითხოვ ⁊ მე საწყალს არც თავი მესმის ⁊ არც ბოლო იმ საქმისა, რომელსაც ბეჯითი ყურადღება უნდა, ფიქრი უნდა, შორს მხედველობა საჭირო არის. მამცეს კენჭი, მიჭირავს ჴელში ⁊ ვტრიალებ ციბრუტივით შუაგულს,

გამორექტებული, მე საწყალი გამოშტერებული, წუხანდელი ღამე ქეიფ გაწეული, რომ თუალები მიმდის მილისათჳს, მამცეს კენჭი და არ ვიცი, ვის ჩაუგდო, ვინ არის და რა ჭკუის პატრონი; მე ესენი არ მახარებენ, ესე იგი, არც ვინაობა, არც ნიჭი, არცა ის თუ, ქუეყანას, თუ ჩემს თანამოძმეს რა სარგებლობას მოუტანს;—ვინც ყურში წამიჩურჩულებს, კარგ სადილს, კარგს კახურს ღვინოს, კარგს ფლავს და თუ ტოლმაც არის, გათავდა, მაშინვე თუალებსა ვხუჭავ და იმისკენ ვისვრი იმ ჩემს ერთს კენჭსა; იქ რაც მოხდეს მოხდეს, ჩემი არა ბრალია!—თუალი აეფისათ მეხაშეებს, რომ ახლა გაზაფხული არის და იმათ ხაშს არავინ უყურებს;—ცუდ დროს მოხდა იმათათჳს ეს შემთხვევა!—ღმერთო შექცოდე და, მართლადა დიდი ცოდვა ჩავიდინე, ერთს კენჭი მივეცი შავში; ერთს ყმაწვილს კაცს, კარგათ დაკელოვნებულს საქმეში და ნიჭის პატრონს, რომელიცა როგორც მერე ვიცანი, ჩუენს ძმებს სარგებლობას მიუტანდა, თავისის კალმით და თავის მეცადინეობით: ბევრი სამეცნიერო სტატიებიც დაუბეჭდია „კავკაზში.“ დასწყევლა ღმერთმა, სადილმა მაცდინა, იმას სადილი არა ჰქონია გაკეთებული და არც დავუპატიჟნივარ. მაშასადამე არც ვიცნობდი; გავიშვირე და შავში ვტყორცნე, ჰე! მოხვდა თუ არა! გავგმირე თუ არა!... არა, რატომ არ იცოდა რომ უსადილოდ აქ არა იქნებოდარა.

---

მაისის თვეში, ერთი კიდევ შესამიშნავი ანბავი იყო კუკიაში. ჩუჱნმა მკითხველებმა იციან, რომ ჩუჱნ ძველის ძველს ძმებს, ჩუჱნ სისხლით და ხორცით მონათესავეთ, ერთის მიწის და ერთის წყლის შვილებს, ქართუჱლ კათოლიკეთ, ორი ეკკლესია აქუსთ ქალაქს ტფილისში: ერთი შუა ბაზრის ახლოს, ძველის-ძველი ეკკლესია, რომლის გარემოებაც იციან მკითხველებმა და მეორე სასაფლაოზედ, სადაცა იმარხებიან გარდაცვალებულები კათოლიკენი. დიდი ხანი იყო ჰქონდათ ფიქრათ, აღეშენებინათ მესამე ეკკლესიაც, ახალის ჴელოვნებით, კუკიაში, ქართველ-რუსთ ეკკლესიის მახლობლივ. ბოლოს რის ყოფით, ეს სურვილი მოიყვანეს აღსრულებაში კეთილთ კაცთ მეცადინეობით. არ გვახსოვს, თერთმეტს, თუ თორმეტს მაისში, იყო სამირკვლის კურთხვა, რომელს დღესაც შეყრილნი იყვნენ, როგორც სამღუდელონი კათოლიკეთა, ისე ერთობ კათოლიკენი; და რა მარტო კათოლიკენი, ამ დღეს აქ თითქმის ყველანი დაესწრნენ, ქართუჱლი, სომეხი, თუ რუსი; ყველას ერთგვარად უხაროდა, ერთგვარად სასოებით უყურებდნენ და ისმენდნენ იმ სამღრთო რიგსა, რომელსაცა აღსრულებდნენ სასულიეროს წოდებისანი. რამწამს გათავდა სამღრთო რიგი,—დიდი თუ პატარა, ღარიბი თუ მდიდარი; ქალი თუ კაცი, სომეხი თუ ქართუჱლი, კათოლიკე თუ რუსი, მისცვივდნენ მასალასა და უნდა ენახა კაცსა, თუ რა გულ-მხურვალედ და სასოებით ეზიდებოდნენ კალატოზებთან, რომელთაცა ამოჰყვანდათ სამირ-

კველი; ჯინი ჯინზედ მიდიოდა, და ას ჯოისა სწავდხეა კვნესით, მაგრამ მხიარულების ღიმილით რამდენიმე ნარნარი და ნაზი ქალები, რომელთ შორის იყვნენ გასათხოვრებიც. ვის უნდა ჰქონოდა ქვის გული, რომ ამდროს, ცრემლები არ მოსვლოდა თვალებზედ. ღმერთო შენ განამტკიცე ქრისტიანობა! როგორც შევიტყეთ, ეს ეკკლესია კეთდება იმ კელოვნებით, და იმ გვარად, როგორიც გაკეთებულია რომში პეტრე პავლეს საკელობაზედ, მაგრამ რა საკვირველია იმ სიდიდისა არ იქნება. ამ ეკკლესიის შენობასა ჰყავს კელთ მძღვანველად, ესე იგი რიგის მიმცემად, კეთილშობილი სულით და გულით, ემაწვილი კაცი კონსტანტინე ზუბალოვი; შვილი კეთილის და პატიოსანის საქართჳელოს აზნაურის-შვილისა, რომელიცა გულ-მხურვალედ ეწევა შრომას ამ სამღრთო საგანზედ და მთელი დღე იქა ტრიალებს. ინებოს ღმერთმა, ყოველს კეთილს და საქვეყნო საქმეს, ასე გულმხურვალედ და ასე ერთობით მოვიდოდნენ, სისხლით და ხორცით ჩჳენი ძმები, ქართჳელ-კათოლიკენი, რომელთანაც მჭიდროთ ვყოფილვართ და სიყჳარულით, მამაპაპათვე დროშა, დროსა საქართჳელოში მეფობისასა.—

ი. გ.

---

—რომელთაც ამ წლის ჟურნალები მისდით სოფლებში, გინა ქალაქებში, ვთხოვთ შემოიტანონ ხვედრი ფული პირველისავე ფოჩტით და თუ არ შემოიტანენ, შემდგომი ნომრები აღარ მიერთმევათ.—

## 1870 წელსა.

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 7 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას, ხიდზედ, მირზოევის შენობაში, მარტიროზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

---

Дозволено Цензурою 15 мая 1870 г.